2018 – 2022 წწ. გამოცემული სამეცნიერო სტატიები

2018წელს გამოცემული

1.**ლ.ბერიძე. „თბილისის მომავალი: მდგრადი განვითარება თუ კრიზისი?“;**
არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 8, 9. ISSN 2233-3266, 2018.
ანოტაცია: სტატიაში განხილულია ქ. თბილისში ურბანული განვითარების მხრივ შექმნილი რთული, შეიძლება ითქვას კრიზისული მდგომარეობა და ის ნაბიჯები რომლის გადადგმა არის საჭირო ამ ნეგატიური პროცესის მდგრადი განვითარების რელსებზე გადასაყვანად. თბილისის პრობლემები მჭიდრო კავშირში არიან არქიტექტურულ-სამშენებლო დარგში შექმნილ ზოგად მდგომარეობასთან. სტატიაში დეტალურად გააანალიზებულია შექმნილი მდგომარეობა და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

2. **ბ.თინიკაშვილი, მ.ჯავახიშვილი; ბიოკლიმატური არქიტექტურა;** 3 ოქტომბერი თბილისი 2018; პირველი საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის მასალები;
ანოტაცია: მოხსენებაში განხილულია ბიოკლიმატური არქიტეტურის პრინციპები ხალხურ არქიტეტურაში, ფ.ლ. რაიტის, ლუის კანის, ლ. ხელპრინის შემოქმედებაში (XX საუკუნის დასაწყისი) და ასევე მოქმედი არქიტექტორების ნამუშევრებში, რომელთაც გამოყენებული აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიები. საპროექტო მეთოდოლოგიის თვალთახედვით ბიოკლიმატური მიდგომა განსაზღვრულია, როგორც სახლის დაპროექტების კრიტერიუმის წყარო. ადგილი, გარემო და ორიენტაცია განსაზღვრავს თუ როგორ უზრუნველვყოთ უკეთესი დაცვა და ბუნებრივი პირობების (მზის, ქარის და სითბოს წყაროების) გამოყენება. რის დასტურათაც წარმოჩენილია თანამედროვე ბიოკლიმატური საცხოვრებელი სახლები ყველა ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებისა და ეკო-არქიტექტურის პრინციპების გამოყენებით საზღვარგარეთის პრაქტიკიდან.

3. **გ.სალუქვაძე. ბუნებასთან საზოგადოების ურთიერთობის და ეკოლოგიური განათლების შესახებ;** 2018 წ. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია; DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266
ანოტაცია: როდესაც კაცობრიობის გადარჩენის სტრატეგიაზე ვსაუბრობთ, ამ სტრატეგიის ერთერთი მთავარი წარმმართველი ძალა ეკოლოგიური განათლებაა. მისი სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლია გადალახოს არა მხოლოდ კლასობრივი, ნაციონალური და რელიგიური

უთანხომოება, ასევე ყველა არსებული იდეოლოგიის ანტროპოცენტრიზმი. ეკოლოგიური განათლება არის ცხოვრების იდეოლოგია, ადამიანის და ბუნების სოლიდარობა, ადამიანის და ბუნების ურთიერთობა. ეს ურთიერთობა უნდა გახდეს საზოგადოებრივი ფუნქცია და ის უნდა ემსახურებოდეს თითოეული ადამიანის ეკოლოგიური ცნობიერებისა და ეკოლოგიური კულტურის განვითარების მიზნებს, ანუ ეკოლოგია საზოგადოების საზრუნავი უნდა გახდეს.

4. ვ. მჭედლიშვილი. მ. მილაშვილი,
ქალი და პროფესია-არქიტექტორი (კვლევის შედეგების ანალიზი აშშ -სა და ევროპის მაგალითზე) ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“ # VIII. ISBN1512-1585. თბილისი.2018 წ.; გვ. 100-104;
ანოტაცია: სტატიაში აშშ-სა და ევროპის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხილულია ქალი არქიტექტორების პროფესიის პრობლემატიკა.

5. **თ.ჩიგოგიძე; თბილისის პერსპექტიული მწვანე მშენებლობის პროექტირების თანამედროვე პარადიგმა;** 2018(8-9), საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი; ISSN 2233-3266
ანოტაცია: მწვანე მშენებლობის საკითხების აქტუალობა უდავოა. ჩვენ ამ პრობლემას განვიხილავთ არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ერთგვარ სინკრეტულ ასპექტში, რადგანაც არქიტექტურის ძირითადი დანიშნულებაა უძრავი ქონების ხარისხობრივი სრულყოფა ანუ ხარისხის მართვის პრობლემა. ზოგადად ჩვენი ინტერესის სფეროა უძრავი ქონების ოთხი შემადგენელი ნაწილიდან ერთ-ერთი - მრავალწლიანი მწვანე ნარგავების აქცენტირებული განხილვა.
უძრავი ქონების სრულყოფის, განვითარების, ტრანზაქციის და ა.შ. პროცესის უცილობლად გასათვალისწინებელი კრიტერიუმები: ეთიკური, სამართლებრივი, ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ესთეტიკური წარმოადგენენ რეგლამენტაციისა და შემოქმედებით-საწარმოო აქტივობის ინსტრუმენტებს. პროექტირება, მათ შორის, მწვანე მშენებლობის ფოტო-რეალისტური ვიზუალიზაცია უნდა ეყრდნობოდეს მერიის მიერ ანონსირებულ მწვანე ნარგავების კატალოგს.

6. **მ. ღამბარაშვილი (გაგაძე); “ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი მასალების გამოყენება არქიტექტურაში”;** 2018წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი _ ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,თეზისების კრებული’’;
ანოტაცია: 1993 წელს არქიტექტორთა საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს “დეკლარაცია მდგრადი მომავლისათვის”, სადაც ჩამოყალიბებულია მდგრადი არქიტექტურის არსი. მდგრად არქიტექტურაში იგულისხმება რამოდენიმე ძირითადი კომპონენტის ერთობლიობა, მათ შორის ,,ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალების გამოყენება’’ მოხსენებაში მოცემულია ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალების

დახასიათება და განხილულია მათი თვისებები, ასევე მოცემულია შენობებში მათი გამოყენების მაგალითები.

7. **მ.მელქაძე; არქიტექტურის აკადემიური სივრცე – აზროვნების პერსონიფიცირების ფენომენი;** საგამომცემლო სახლი `ტექნიკური უნივერსიტეტი~, სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები 2018 წ. თბილისი, კოსტავას 77; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიის მიზანია: - დაფიქსირდეს არქიტექტურული მოღვაწეობის ორი სივრცის - შემოქმედებისა და აკადემიურ-პედაგოგიური მოღვაწეობის შეხების წერტილები; - გაირკვეს არქიტექტურული სამეცნიერო ბაზის ადგილი, არქიტექტურული სწავლების აკადემიურ სივრცეში; - მოხდეს შემოქმედებითი პროცესის ანატომია.

8. **მ. დავითაია, „ეროვნულობის კოდი თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში“**, სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი N8,9, „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, ISSN 2233-3266, 2018 წ. გვ. 52-67

ანოტაცია: მოდერნიზმის ერთფეროვნებამ XX საუკუნის 60-იანი წლები დან სხვადასხვა ქვეყნების არქიტექტურაში აქტუალური გახადა განსხვავებულის, განსაკუთრებულის შენარჩუნებისა და განვითარების გზების ძიება. ეროვნულობის პრობლემა, უპირატესად, შეეხო დიდი არქიტექტურული ტრადიციების მქონე ქვეყნებს, რომლებმაც მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, გლობალიზაციის პროცესში, შეძლეს ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. რა ხდება ამ მხრივ საქართველოში? უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ქართველ ხუროთმოძღვართა განსხვავებული დამოკიდებულება. ერთ ნაწილში შეიმჩნევა სწრაფვა დამოუკიდებელი აზროვნებისკენ, ინდივიდუალობისკენ, რეგიონალური ფაქტორების სიღრმისეული წვდომისკენ, მეორე ნაწილი კი უარყოფს რეგიონალურ ტრადიციებს, ნიშნებსა და სიმბოლოებს, ცალკეულ ელემენტებს თუ ეროვნულ ნიშან-თვისებებს. სტატიაში განხილულია იმ არქიტექტორთა დამოკიდებულება, რომლებიც გამოხატავენ პატივისცემას ეროვნული თავისებურებებით განმსჭვალული არქიტექტურის მიმართ და თანამედროვე ვარიაციებში იყენებენ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და კოდებს.

9. **მ. დავითაია, ი. ზარიძე, „კერამიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია“**, სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი N8,9, „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, ISSN 2233-3266, 2018 წ, გვ. 44-52

ანოტაცია: სტატიაში განხილულია კერამიკული ხელოსნობის განვითარების პრეისტორიული პერიოდის ეტაპები. მსოფლიო ხელოვნებაში ორნამენტის განვითარების საწყისი სტადია და მასთან ერთად მხატვრული მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროს - გამოყენებითი ხელოვნების განვითარება.

პირველი თიხის ნაკეთობების დამზადების ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები. ასევე განხილულია საქართველოში მეთუნეობის განვითარების ისტორია VIII-VI საუკუნეებში ჩვ.წ.აღ. და კერამიკა როგორც არტეფაქტი - უძველესი კულტურისა და ტრადიციების მაჩვენებელი.

10. **ნ. იმნაძე, გ. კვიწინაშვილი.**

"კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის და მისი მიმდებარე ტერიტორის არქიტექტურული განვითარების თავისებურების კვლევა იყალთოს აკადემიისა და გრემის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე";

სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის პრობლემები" № 8,9 თბილისი 2018; ISSN 2233-3266

ანოტაცია: წინამდებარე სტატიის მიზანია კახეთის რეგიონში გრემის მონასტრის და იყალთოს აკადემისს მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად აღმოცენებული ტურისტული არქიტექტურის კვლევა. აღნიშნული თემა აქტუალურია, რადგან დგება საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ახალი არქიტექტურა, გარემო რომ წარმოაჩინოს კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლი, განავითაროს იგი და არ დაარღვიოს ჩამოყალიბებული ვიზუალური აღქმის ჰარმონიულობა. დღეს ეს საკითხი გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელობას იძენს ქვეყნის იდენტობის წარმოსაჩენად. იყალთოს და გრემის მონასტრები თავიანთი არქიტექტურით, სივრცულ-მოცულბითი წყობით და დამოკიდებულებით გარემოს მიმართ განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად ორივე მოითხოვს ინდივიდუალურ გადაწყვეტას, რაც ნათლად გამოვლინდა კვლევისას. თუმცა ორივეს შემთხვევაში ვლინდება კონტექსტუალური დამოკიდებულება, რომელიც არქიტექტორს აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას ადგილის ფარული თუ ცხადი ღირსებების წარმოსაჩენად. დარჩნენ მეხსიერებაში და მიმზიდველი მნახველთათვის.

11. **მ.მაისურაძე; ლ.ქესანაშვილი; ბუნებრივი ლანდშაფტის თანამედროვე ტრენდის ფორმირების ზოგიერთი საკითხი ქ. თბილისთან მიმართებაში.**

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები#12; ISSN 2233-3266 სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისადა დიზაინის ფაკულტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი"; თბილისი 2018

რეზიუმე სტატია მოიცავს ქ. თბილისთან მიმართებაში მის გარშემო არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის ფორმირების და თანამედროვე რეალობასთან სივრცით–გეგმარებითი სტრუქტურისა და არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბების ფორმირებებს. თუ 97 როგორ განაპირობებს ბუნებრივი ლანდშაფტი და ქალაქის სივრცული განაშენიანების განსაკუთრებული გარემო, თბილისის ისტორიული ქალაქთმშენებლობით ხელწერას.

12. **მ.მაისურაძე; გ.ლოთიშვილი;**

ურბანული გამოწვევები, თბილისური რეალობა და პრობლემები.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები# 8, 9 ISSNN 2233-3266 12 ;სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისადა დიზაინის

ფაკულტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2018

ანოტაცია: სტატია მოიცავს საქართველოში დაკანონებული შენობა-ნაგებობების კოდექსების ზოგიერთი ნაწილის თავისებურებების შედარება-ანალიზს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქ. თბილისისთვის, პარალელების გატარებით, თუ როგორ არის შესაძლებელი, საქართველოს ურბანული პროცესების გამოწვევებთან მიმართებაში, სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის ინდივიდუალური თავისებურებების და პრიორიტეტების შესწავლა, მსგავსებების და განსხვავებების გამოვლენა.

13. **ქესანაშვილი ლია**

ბუნებრივი ლანდშაფტის თანამედროვე ტრენდის ფორმირების ზოგიერთი საკითხი ქ. თბილისთან მიმართებაში

N8-9, 2018 წ.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

ISSNN 2233-3266

ანოტაცია:განიხილება ქ.თბილისთან მიმართებაში მის გარშემო არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის ფორმირების და თანამედროვე რეალობასთან სივრცით–გეგმარებითი სტრუქტურისა და არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბების ფორმირებებს. თუ როგორ განაპირობებს ბუნებრივი ლანდშაფტი და ქალაქის სივრცული განაშენიანების განსაკუთრებული გარემო, თბილისის ისტორიული ქალაქთმშენებლობით ხელწერას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ლანდშაფტურ დიზაინში.

14. **მ.მაისურაძე; თ. აბაშიძე; ჰიბრიდულობა - თანამედროვე ქალაქის პრობლემა თუ პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გადაწყვეტა.** არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები#12.; ISSN 2233-3266 სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისადა დიზაინის ფაკულტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2018

ანოტაცია: სტატია მოიცავს თემას „ჰიბრიდულობა“-ს, როგორც ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას და მის შედეგებს. „ჰიბრიდულობა“ ურბანულ გარემოში, ერთი მხრივ, ხშირად ქმნის კოლაჟურობას და უარყოფით დამოკიდებულებას, მეორეს მხრივ, ობიექტებს შორის საინტერესო ფორმების სტრუქტურულ ურთიერთობებს ქმნის, რამელსაც შეუძლია, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, გარკვეული გლობალური გარემოსდაცვითი, ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების გადაჭრა.

15. **მ.მაისურაძე; გ.ლოთიშვილი; შენობა-ნაგებობის კოდექსი აშშ-ში და პარალელები საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ურბანული პროცესების გამოწვევებთან.** ამერიკის შესწავლის საკითხები #7; ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; ISSN 1512-1585; თბილისი 2018

ანოტაცია: მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს ქალაქების ურბანული პროცესების, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების გადაწყვეტის საინტერესო გამოცდილება და მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია ამერიკის შეერთებულ შტატებს. სტატია მოიცავს საქართველოში და აშშ-ში დაკანონებული შენობა-ნაგებობების კოდექსების ზოგიერთი ნაწილის თავისებურებების შედარება-ანალიზს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქ. თბილისისთვის, როგორც ქვეყნის დედაქალაქისთვის, აშშ-ის ქალაქების ურბანული გამოცდილება ბევრ საინტერესო და საყურადღებო მასალას მოიცავს, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მსგავსებები და განსხვავებები.ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში დაკანონებული შენობა-ნაგებობების კოდექსების ზოგიერთი ნაწილის შედარება-ანალიზით, პარალელების გატარებით, შესაძლებელი ხდება, საქართველოს ურბანული პროცესების გამოწვევებთან მიმართებაში, მსგავსებების და განსხვავებების ინდივიდუალური თავისებურებების გარკვეული გამოვლენა. ანალიზი საშუალებას იძლევა, საქართველოს დადაქალაქის, ქ.თბილისის ურბანული პროცესების რეგულირებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორის გათვალისწინებას, როგორიცაა ადგილობრივი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა-ანალიზი და პრიორიტეტების გამოვლენა-გათვალისწინება.

16.ძიძიგური მ., მესხი მ.

„თბილისის ერთი საქალაქთმშენებლო პრობლემის შესახებ (სოლოლაკის მაგალითზე)“. (გვ.133-144),

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 8, 9,2018, ISSNN 2233-3266

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

https://gtu.ge/Arch/Pdf/publications/edition%208,9.pdf

ანოტაცია: თანამედროვე ქალაქის ეკოსისტემაში გამწვანებულ სივრცეებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ქალაქის არქიტექტურული ლანდშაფტის, ასევე ადამიანთა კომუნიკაციის განვითარებისთვის. სამწუხაროდ, არარეგულირებადი მშენებლობების სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, დღითიდღე მცირდება ადგილები ადამიანთა ურთიერთობისთვის, მრავალფუნქციური დატვირთვის მქონე გამწვანებული სკვერებისთვის და პრიორიტეტული ხდება განვითარებადი ბიზნესისთვის განკუთვნილი შენობებით თავისუფალი სივრცეების შევსება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულია ისტორიულ უბნებში. ამ თვალსაზრისით სტატიაში განხილულია სოლოლაკის მაგალითი. დასკვნები ეყრდნობა უბანში დღესდღეობით არსებული მდგომარეობის, ჩვენს მიერ ნაწარმოები კვლევის შედეგების გაანალიზებას.

17. **ნ.ფაილოძე; ნ.აბესაძე**

ორნამენტის ქსოვის შესაძლებლობები ტრიკოტაჟში

Norwegian Journal of development of the International Science
ISSN 3453-9875**N20/2018 VOL.I** Iduns gate 4A, 0178, Oslo, Norway
email: publish@njd-iscience.com site: http://www.njd-iscience.com
ეროვნული კოსტიუმის ისტორიული სახეების გაანალიზების, თანამედროვე სამოსის ფორმების განხილვისა და შედარებითი დახასითების შედეგადშეგვიძლიადავასკვნათ, რომნებისმიერთანამედროვეკოსტიუმში შესაძლებელიადაგეგმარდეს ნაციონალური კოსტიუმის ელემენტები.ნაქსოვ ნაწარმში ტრადიციული ორნამენტის შეტანა და ფერშიგადაწყვეტადამოკიდებულია ტრიკოტაჟული ტილოსსტრუქტურაზე.ნაშრომში გაანალიზებულია ტრიკოტაჟული ხლართის სახეები, რომელთა გამოყენებითაცშესაძლებელი იქნებაეროვნულიმოტივებითნაქსოვიტექსტილისდამზადება.

18.**ლია ლურსმანაშვილი; თამილა კუდავა.; ლია კაპანაძე**

ტყავის სამოსის ძირითადი დეტალების ფართობების გამოსათვლელად ახალი მეთოდიკის შემუშავება და მისი სანდოობის დასაბუთება

საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის
შრომების კრებული
„თანამედროვე მეცნიერება და ინოვაციური პრაქტიკა“
ტომი I
ქუთაისი 16 ნოემბერი 2018;აწსუ. გვ.53-58
ISBN 978-9941-484-06-3
ISBN 978-9941-484-05-6

ანოტაცია: ტყავის რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია ძირითადი დეტალების ფართობის ზუსტი განსაზღვრა, რათა შევძლოთ თარგების განლაგების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა და თარგთაშორისი ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანა. დროის ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილია, კონკრეტული ნაწარმის თითოეული დეტალისათვის ფართობის საანგარიშო მეთოდიკის გამოყენება.საკვლევ ობიექტად შეირჩა ნატურალური ტყავისგან დამზადებული ქალის პალტო. კვლევის შედეგად მიღებული ფართობის საანგარიშო ფორმულა იძლევა იმის საშუალებას, რომ შერჩეულ მოდელში სწრაფად და ზუსტად მოვახდინოთ მასში შემავალი დეტალებისათვის ნებისმიერი ზომის ფართობის განსაზღვრა.

2019 წელს გამოცემული

19.**ლ.ბერიძე. „შენობებისა და განაშენიანების ინსოლაციის გაანგარიშების მეთოდები“;**

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 10. ISSN 2233-3266, 2019.
სტატიაში განხილულია ინსოლაციის გაანგარიშების მეთოდები. მოყვანილია ადამიანზე და შენობებზე მზის ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

არსებული ნორმატიული სისტემები. მიმოხილულია მსოფლიოში არსებული ინსოლაციის გაანგარიშების მეთოდები, ნაჩვენებია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დეტალურად და კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია, საქართველოში და სხვა ქვეყნებში გავრცელებული, პროფ. ლევან ბერიძის ინსოლაციის გაანგარიშების ორიგინალური მეთოდები.

20. **ლ.ლურსმანაშვილი; ლ.გერგეშელიძე**

„ქართული ეროვნული ზედა სამოსის „ჩოხა“ დამკვიდრების წინაპირობების კვლევის საკითხები“

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“-
„ კონფერენციის მასალები“; ბათუმი 2019; გვ.122-126
ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა,2019
ISBN978-9941-9519-0-9info@batu.edu.ge

ანოტაცია. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ტერმინი „ჩოხა" IX საუკუნიდან გვხვდება. მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ IX საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, იგი იყო ორივე სქესის ბერ-მონაზონთა ზედა სამოსის და საჩოხე შალის აღმნიშვნელი ტერმინი. ხოლო მოგვიანებით, კერძოდ XVIII-XIX საუკუნეებში, უკვე სასულიერო პირთა სამოსის გარდა, საერო ჩაცმულობის დატვირთვაც შეიძინა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩოხა გამოიყენებოდა როგორც მამაკაცის, ისე ქალის ზედა ტანსაცმლის აღმნიშვნელად.
ნაშრომში განხილულია როგორც სასულიერო პირთა, ისე ქართული ეროვნული ზედა სამოსის „ჩოხა" ძირითადი ტიპები, მათი კონსტრუქციული თავისებურებები და შედარებითი ანალიზი

21.ლ.ბერიძე. „ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის ანგარიში ვიზუალურ-სივრცითი მეთოდით“

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 11. ISSN 2233-3266, 2019.

შენობების და განაშენიანების სწორი დაპროექტებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი განათებულობის გამართული გაანგარიშების სისტემის არსებობა, რომელიც ეყრდნობა სათანადო ნორმატიულ პარამეტრებს. შენობების ბუნებრივ განათებულობას განსაზღვრავენ განყენებული საზომი ერთეულით, რომელსაც ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტი (ბგკ) ეწოდება. ბგკ-ს საანგარიშოდ საჭიროა ჯერ ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის მნიშვნელობის განსაზღვრა. ამისთვის მსოფლიოში იყენებენ განსხვავებულ მეთოდებს და გრაფიკებს. სტატიაში განხილულია სხვადასხვა ქვეყანა არსებული მეთოდები და გაანალიზებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქართველოში გამოიყენება პროფესორ ლევან ბერიძის ვიზუალურსივრცითი გრაფიკული მეთოდი, რომელიც მოკლებულია მნიშვნელოვან ხარვეზებს და შეუძლია დასახული ამოცანების სრული სპექტრის გადაწყვეტა. სტატიაში კონკრეტულ მაგალითზე მოცემულია ლ.

ბერიძის ვიზუალურსივრცითი მეთოდით ბგკ-ს გეომეტრიული კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდიკა.

22. **მ. დავითაია, ი. ზარიძე, „აღმოსავლური შორენკეცების ზეგავლენა დასავლეთ-ევროპული კერამიკული ფილის მხატვრულ-ესთეტიკური სახის ფორმირებაზე“**, სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი N10, 2019 წ. გვ.50-58

ანოტაცია: სამეთუნეო ხელოვნების წარმოშობა მიეკუთვნება კაცობრიობის ისტორიის უძველეს დროს. სტატიაში განიხილება მხატვრულ-არქიტექტურული და დეკორატიული კერამიკის - შორენკეცებისა და დეკორატიული ფილების წარმოშობისა და განვითარების მოკლე მიმოხილვა; კერამიკული ტექნოლოგიების ძირითადი სახეობების განვითარების ისტორია; დეკორატიული სისტემა, რომელსაც ქმნის აღმოსავლური ხელოვნების ორნამენტული გამოსახულების ძირითადი მოტივები; ასევე განიხილება ისლამური კულტურის გავლენა შუასაუკუნეების ევროპის კულტურის ტრადიციებზე და XIX-XX საუკუნეებში მოჭიქული შორენკეცების წარმოების, აღორძინების, განახლების, მანამდე არსებული და ახლად შექმნილი სტილების თანაარსებობის ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტები.

23. **M. Давитая, „Национальные особенности грузинской архитектуры в современном аспекте“**, МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ, «Архитектурное наследие и современное общество», 2019 г., 23-24 апреля, ст.90-101

Резюме. Однообразие модернизма в 60-ых годах XX в. в архитектуре разных стран сделало актуальным поиск путей разнообразного, сохранение и развитие особенного. Проблема национальности коснуласъ в первую очередь стран с большими архитектурными традициями, которые несмотря на многие противоречия, в процессе глобализации, смогли сохранить национальную идентичностъ. Что происходит в этом направлении в Грузии? В последние годы замечаются различные отношения грузинских архитекторов. В одной части заметно стремление к самостоятелъному мышлению, к индивидуалъности, к глубокому восприятию регионалъных факторов, другая частъ, наоборот, отказываетъся от них, от символов и кодов, отделъных элементов и национальных особенностей. В статъе рассмотрены отношения тех архитекторов, которые выражают уважение к архитектуре с национальными особенностями и в современных вариациях используют характерные для нее знаки и коды.

24.თ.სალუქვაძე, დ.ბოსტანაშვილი. ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მუსიკალურობის შესახებ. 2019 წ. სტუ, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები N11. ISSNN 2233-3266

ანოტაცია: ეს სტატია ეხება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუსიკალურობას, როგორიცაა: ფერწერა, პოეზია, არქიტექტურა, ქანდაკება,

ქორეოგრაფია. მუსიკალური ხელოვნება, როგორც თითოეული ამ დარგის არსის გამაერთიანებელი. სილამაზისა და ჰარმონიის წყარო, დაფუძნებული ხელოვნების ბუნებრივ მისწრაფებაზე.

25.ვ. მჭედლიშვილი. მ. მილაშვილი,

სამრეწველო არქიტექტურა - წარსული, აწმყო და მომავალი. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. ISSN 1512-4215, UDC(uak) 7(051.2) s-364 საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. თბ. 2/ 2019 წ. გვ. 52-53;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სამრეწველო არქიტეტურის განვითარების პერიოდები და მათი ძირითადი მახასიათებელი თავისებურებები.

26.ვ.მჭედლიშვილი.მ.მილაშვილი, ქალთა უფლებების ბრძოლის სათავეებთან -"მსოფლიო და გენდრი" საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. სტუ. ISBN 978-9941-0-5597-3თბილისი, 2019 წ. გვ 50-53;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ქალთა სოციალურ - პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის წარმოებული მოძრაობის საწყის პერიოდში ლიდერი ქალების მოღვაწეობა.

26.მ. ძიძიგური

„სიდნეის ოპერის ფანტომი."

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 10,2019

ISSNN 2233-3266

https://gtu.ge/Arch/Pdf/publications/jurnali%202019.pdf

ანოტაცია: იორნ უტზონმა 2003 წელს დაიმსახურა პრიცკერის პრემია, უფრო ადრე -ბრიტანეთის არქიტექტორის სამეფო ინსტიტუტის პრიზი. შეიძლება ითქვას,მსოფლიო არქიტექტურულმა საზოგადოებამ გვიან, მაგრამ მაინც "დააწია" მას ესაღიარება. თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ უტზონის სახელიმკვეთრად იყოს დაკავშრებული კონკრეტულ მიმდინარეობასთან ან მეტნაკლები გავლენის მქონე იდეური და მეთოდური თვალსაზრისითგამთლიანებულ პრაქტიკულ გამოცდილებასთან. სავარაუდოდ, ამისობიექტური მიზეზია ის ინტროვერტული მეთოდი, რომელიც ჩანს მისგვიანდელ პროექტებში. ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების უმეტესობაწარმოაჩენს არქიტექტურული ნაწარმოების შიდა დრამატურგიით გატაცებულავტორს, რომელიც არ განიხილავს ამ გზიდან გადახვევას და არ აწუხებსკომპრომისის საჭიროება თვალისმოჭრელი პოპულიზმის მიმართ. სუბიექტური ფაქტორების ბუნება არ ტოვებს ამ საკითხზე ცალსახა საუბრისსაშუალებას, თუმცა საფიქრებელია, რომ უტზონის ყველაზე ცნობილინამუშევრის რეზონანსმა გამოიწვია გარკვეული უკუეფექტი დისტანცირებაკოლეგების მხრიდან ამ შენობის პოპ აღიარების მიმართ. ეს ფაქტორი ძალიანხშირად დაბრკოლებაა არქიტექტორებისთვის სიდნეის ოპერისა და შესაბამისადმისი ავტორის მაღალი პროფესიული ღირსებებისა და დამსახურების შეფასებისგზაზე.

27. **მ. ძიძიგური**

“თბილისის ბოტანიკური ბაღის მე-19 ს-ის მეორე ნახევრის და მე20 ს-ის დასაწყისში აგებული რამდენიმე ობიექტის შესახებ”

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 11, 2019, ISSNN 2233-3266
https://gtu.ge/Arch/Pdf/publications/gamocema-%2011.2019.jpg.pdf

ანოტაცია: 1899 წლიდან 1919 წლამდე, ადოლფ ქრისტიან როლოვის მიერბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობის პერიოდში, თბილისის ბოტანიკურიბაღი გადაიქცა მსხვილ სამეცნიერო-კვლევით ცენტრად მთელი კავკასიისმასშტაბით. ბაღის ტერიტორიაზე აიგო მრავალი ობიექტი, მათ შორის: მუშათა საცხოვრებლები, მუზეუმის, სანერგის, ჰერბარიუმის და სხვაშენობები, ასევე დეკორატიული აუზები ქანდაკებებით. სტატიაში წარმოდგენილია მუზეუმის და სანერგის კვლევა მათი რეკონსტრუქციის მიზნით, ისტორიული მასალებისა და კვლევის პერიოდში მათი მდგომარეობის აღწერისა და შეფასების საფუძველზე, ასევე დეკორატიული აუზების ქანდაკებების იდენტიფიცირება და შედარება ორიგინალებთან არსებული ისტორიული ფოტომასალების მიხედვით.

28. **მ. ძიძიგური, ნ.კვაჭაძე.**

„აჭარული ჯამე, როგორც ქართული ხითხუროობის ძეგლი“

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 11, 2019, ISSNN 2233-3266
https://gtu.ge/Arch/Pdf/publications/gamocema-%2011.2019.jpg.pdf

ანოტაცია: აჭარის ხის მეჩეთები გარეგნული ფორმით აჭარაში გავრცელებულისაცხოვრებელი სახლების მსგავსია. ისინი ქართული ხალხურიხითხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი, უნიკალური ქმნილებებია. სამეცნიეროლიტერატურის თანახმად, მეჩეთების უმრავლესობა აგებულია XIX –XXსაუკუნეებში, ადგილობრივი ან მოწვეული ლაზი ოსტატების მიერ. ჯამეებითავისი არქიტექტურული ფორმით და გამშვენების დეკორატიული სისტემითნათლად ასახავს ქართული ხალხური ხითხუროობის ტრადიციების უწყვეტიგანვითარების მთლიან სურათს, რაც მხატვრული ფორმის ორიგინალურიგარდაქმნის საინტერესო მაგალითია. მეჩეთების ფუნდამენტური კვლევაგამოამზეურებს იმ არქიტექტურული ფორმის თუ სახვითი ტრადიციებისგამძლეობას და სიძლიერეს, რაც ნიშნეულად დაკავშირებულია ეროვნულსაწყისებთან.

29.**ვ.მჭედლიშვილი.მ.მილაშვილი,**

აბიგეილ სმიტ ადამსი- პირველი ლედის ადგილი და როლი აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაში - ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“ # XI. ISBN1512-1585. თბილისი. 2019 წ.გვ. 65-68;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ქალისა და პირველი ლედის აბიგეილ სმიტ ადამსის მოღვაწეობა ქალთა უფლებების სფეროში და მისი ადგილი და როლი აშშ-ს პოლიტიკაში.

30.**ვ.მჭედლიშვილი. მ.მილაშვილი,**

თანამედროვე გამოჩენილი არქიტექტორების ტოპ-ათეული - სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. თბ. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. ISSN 1512-4215, UDC (უაკ), 7(051.2). ს-364. 2019 წ. გვ.44-48;

ანოტაცია: სტატიაში მიმოხილულია თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილი ათი არქიტექტორის შემოქმედება.

31.მ.ფოჩხუა,ნ.იმნაძე, ო. მჭედლიშვილი, გ.გაბუნია. თანამონაწილეობრივი ურბანული დაგეგმარება ჭკვიანი სისტემების გამოყენებით. „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“,სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი, N11, 2019 წ, ISSNN 233-3266.

ანოტაცია: წინამდებარე სტატიის მიზანია გამოიკვლიოს მოქალაქეების ჩართულობა ურბანულ პროცესებში და ამ მხრივ სწორი სტრატეგიის შემუშავება. პროექტის ჯგუფის (არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარების და დიზაინის ფაკულტეტი, სტუ) სამეცნიერო მუშაობის შედეგი მოცემულია და ინტეგრირებულია სამ პროექტში:

- მობილური აპლიკაცია;
- მუნიციპალური ანგარიში;
- Smart Separation System

შედეგები მიმართულია მდგრადი ურბანული განვითარების კომპლექსური პრინციპების დანერგვისკენ.

32. **ჭანტურია თამარ**

„XIX საუკუნის ქ. თბილისის საცხოვრისის არქიტექტურული თავისებურებანი“.

N11, 2019წ. არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

ISSNN 2233-3266

ანოტაცია: განიხილება საკითხები ქ. თბილისის საცხოვრისის არქიტექტურულიევოლუციისა XIX საუკუნის 5–6 ათწლეულის განმავლობაში. ასევე,საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წელი) და სოციალური წყობისცვლილებებთან დაკავშირებით ქალაქურ ცხოვრებაში წარმოქმნილითანმიმდევრობითი ცვლილებები საცხოვრისის ფორმებში, კომპოზიციებსა დადეტალებში.

საქართველოს მოქმედი ეროვნული სეისმური ნორმების „სეისმომედეგი მშენებლობა“.

33.კიკნაძე ზ., მაისურაძე მ., ქესანაშვილი ლ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ლანდშაფტურ დიზაინში #11; ISSN 2233-3266 სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისადა დიზაინის ფაკულტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2019

რეზიუმე-პროექტირების თანამედროვე მეთოდების განვითარება იძლევა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენების საშუალებას, რაც გამოიხატება ტრადიციული პროექტირებიდან ინოვაციურ, მულტიმედიურ ტექნოლოგიებისკენ მიმართულ ვექტორის არჩევაში: სიმბოლური, პირობითი აღნიშვნების ანუ ანოტაციური მოდელირების დონიდან გეომეტრიული

მოდელირების ფოტო-რეალისტური ვიზუალიზაციისა და ე.წ. ინფორმაციულ მოდელირებაზე გადასვლას.

34.ი. ქვარაია, ლ. გიორგობიანი -

„ტაძრის შესასვლელი კარის მხატვრული გაფორმების ახლებური გადაწყვეტა“

სტუ-ის შრომები N2(512), ISSN 1512-0996, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2019, თბილისი. **SCOPUS CODE 2216**

ანოტაცია. შენობა-ნაგებობების არქიტექტურული გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი დეტალია შესასვლელი კარი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანთა განწყობას შიგა სივრცეში შესვლამდე. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს მის მხატვრულ გაფორმებას და ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ეკლესია-მონასტრების კარისათვის. მსოფლიოში მრავალი ასეთი გამორჩეული მაგალითი არსებობს და ამიტომ ახალი ტაძრების აშენებისას შესასვლელი კარის მხატვრულ გაფორმებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საინტერესოდ და ახლებურად არის გაფორმებული ქ. თბილისში, მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის შესასვლელი 5 კარი. ბარელიეფები და მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ცალკეული დეტალები ჩამოსხმულია თითბრისაგან, მაგრამ განსაკუთრებით მიმზიდველია კარის სახელურები ღვთისმშობლის მლოცველი ხელის მტევნების სახით.

35.ი. ქვარაია, ლ. გიორგობიანი -

„საქართველოში ჩამოსხმული ყველაზე დიდი საეკლესიო ზარი“.

სტუ-ის შრომები N2(512), ISSN 1512-0996, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2019, თბილისი. **SCOPUS CODE 2216**

ანოტაცია. 2016 წელს, ქ. თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისათვის ქართველმა ოსტატებმა ჩამოასხეს საქართველოში აქამდე ჩამოსხმულ ზარებს შორის ყველაზე დიდი ზარი. მის ჩამოსასხმელად გამოიყენეს გასროლილი საარტილერიო ჭურვების მასრების გადადნობით მიღებული თითბერი. ზარის წონაა 3000კგ, სიმაღლე – 1,8 მ, დიამეტრი – 1,5 მ. ამავე მასალისაგან ჩამოასხეს ამ ტაძრისთვის საჭირო კიდევ ოთხი ზარი, რომელთა წონა, შესაბამისად, 1600, 800, 400 და 200 კგ-ია. ყველა მათგანი გამოირჩევა კარგი, სუფთა ჟღერადობით. მათი ტონალობა შეამოწმა საეკლესიო მუსიკის ცნობილმა კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა და მისი რეკომენდაციითვე მოხდა ზარების განთავსება სამრეკლოში.

36.ნ. ხაბეიშვილი; **ლანდშაფტი, როგორც საქალაქო გარემოს დიზაინის მნიშვნელოვანი კომპონენტი (მუშტაიდის ბაღის მაგალითზე);** N2(51), 2019, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: სტატიაში აღწერილია, რომ საქართველოს წინსვლამ და მსოფლიო ქვეყნებთან კავშირების გაღრმავებამ გამოიწვია ქვეყნის განვითარება, როგორც ინდუსტრიული ისე სავაჭრო კუთხით. თბილისში მოსახლეობისა და ტურისტების ზრდამ განაპირობა დიდი რაოდენობით მშენებლობების წარმოება. დასმულია საკითხი მასზედ, რომ ახლა სწორედ მწვანე საფარების დეფიციტს განიცდის დედაქალაქი და სამწუხაროდ, მცენარეებით სავსე,

კეთილმოწყობილი სკვერები და ბაღები არცთუ ბევრი შემოგვრჩა, მხოლოდ რამდენიმეს თუ დავასახელებთ, სადაც მეტ-ნაკლებად შეიძლება სუფთა ჰაერზე გასეირნება. ასეთებია: ვაკის პარკი, მუშტაიდის ბაღი, მთაწმინდის პარკი, ბოტანიკური ბაღი და სხვა პატარ-პატარა სკვერები. გაკეთებულია დასკვნა, რომ დღეს, როგორც არასდროს სჭირდება ქალაქს ლანდშაფტის დიზაინის განვითარება და არსებული მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება.

37.ნ. **ხაბეიშვილი; ქალაის ბრენდინგი;** N3(52), 2019, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: ნაშომში განხილულია ქალაქის ბრენდინგის მნიშვნელობა. მოყვანილია ქალაქის ბრენდის წარმოჩენის ძირითადი სტრატეგიები. წარმოდგენილია მსოფლიოს ე.წ. ბრენდ-ქალაქების საუკეთესო მაგალითები და ნაჩვენებია ამ კუთხით თბილსში არსებული ვითარება.

38.ნ. ხაბეიშვილი; რეკლამა ქალაქის სივრცეში; N1(50), 2019, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია რეკლამის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახის - გარე რეკლამის როლი საქალაქო სივრცეში. მისი ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი ასპექტები. მოყვანილია თანამედროვე ქალაქებში გარე რეკლამის განთავსების შესაძლო ვარიანტები. წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება გარე რეკლამასთან მიმართებაში და ნაჩვენებია ამ კუთხით თბილისში არსებული ვითარება.

39.**ნ. ხაბეიშვილი; ვიზუალურ-გრაფიკული ნიშნების როლი საქალაქო გარემოს დიზაინში;** N10, 2019, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; ISSN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში წარმოჩენილია ქალაქის სივრცეში ორიენტაციისათვის აუცილებელი კომპონენტების - ვიზუალურ-გრაფიკული ნიშნების როლი. განხილულია საქალაქო დიზაინის ერთიანი სისტემის საუკეთესო მაგალითი - ლონდონის უნივერსალური გრაფიკული ენა, რომელიც მეტად საინტერესოა იმით, რომ მეტროს ტრადიციული ნიშანი გადაიქცა მთელი საქალაქო გრაფიკული სისტემის სიმბოლოდ. აღწერილია ჩვენს დედაქალაქში, თბილისში, საქალაქო დიზაინის ერთიანი სისტემის შემუშავების თვალსაზრისით არსებული ვითარება და გაკეთებულია საგულისხმო დასკვნები.

40.**ნ. ხვედელიანი; ”საქართველოს ეროვნული პარკების რეაბილიტაციის საკითხები“;** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა "; # 1(50), 2019, გვ. 71; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: თემის მიზანია საქართველოში ეროვნული პარკების განვითარება, ვიზიტორთა სერვისებთან დაკავშირებული პრობლემების და შესაძლებლობების განხილვა, საინტერესო და ბუნებასთან ორგანული არქიტექტურული ობიექტების შექმნა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება. საბოლოო მიზანი კი ეროვნული პარკების ეფექტური მართვა და ადგილობრივი ტერიტორიების გარანტირებული განვითარება.

41.ნ. **ხვედელიანი; „სტუდენტური საერთო საცხოვრებლის და მისი მიმდებარე გარემოს რეკონსტრუქციის საკითხები“;** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა "; # 1(50), 2019; ISSN 1512-3936;
ანოტაცია: თემის მიზანია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტუდენტური საცხოვრებლის რეაბილიტაცია, შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე მორგება, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ენერგოეფექტური საცხოვრებელი სივრცეების შექმნა თემის საბოლოო მიზანს ადგილობრივი ტერიტორიების კი წარმოადგენს. მოწესრიგება. არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია და ეფექტური ათვისება.
42.**ნ. ხვედელიანი; „თბილისის ეროვნული პარკის რეაბილიტაციის საკითხები“;** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; # 10, 2019; ISSN 2233-3266;
ანოტაცია: თემის მიზანია თბილისის ეროვნული პარკის განვითარება, ვიზიტორთა სერვისებთან დაკავშირებული პრობლემების და შესაძლებლობების განხილვა, საინტერესო და ბუნებასთან ორგანული არქიტექტურული ობიექტების შექმნა, ბუნებრივი რესურესების გამოყენება. საბოლოო მიზანი კი თბილისის ეროვნული პარკის ეფექტური მართვა და ადგილობრივი ტერიტორიების გარანტირებული განვითარება.
43.**მ.მელქაძე; “დარგის დაკარგული ფანტომები”;** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები თბილისი 2019, კოსტავას 77; ISSNN 2233-3266;
ანოტაცია: სტატიის მიზანია: - დაფიქსირდეს არქიტექტურული მოღვაწეობის ორი სივრცის - შემოქმედებისა და აკადემიურ-პედაგოგიური მოღვაწეობის შეხების წერტილები; - გაირკვეს არქიტექტურული სამეცნიერო ბაზის ადგილი, არქიტექტურული სწავლების აკადემიურ სივრცეში; - მოხდეს შემოქმედებითი პროცესის ანატომია.
მოხსენების მიზანია, შეძლებისდაგვარად განიხილოს ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმატის სივრცეში, არქიტექტურის, როგორც დარგის ზოგადად და ქალაქგეგმარების, როგორც ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებლური მიმართულების მდგომარეობა. ის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არსებობს ქვეყანაში, დაწყებული მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, თავის დაღს ასვამს ჩვენს პროფესიას, რაც განსაკუთრებით ემჩნევა ქალაქს, მისი განვითარების დინამიკაში. ამ კონტექსტში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქალაქგეგმარებითი ინოვაციები, არა თუ ჩვენი ქვეყნისთვის არის ეკონომიკურად ძნელად დასაძლევი პრობლემა, არამედ იგი იყო და არის ყველა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი გასაღები, რაც ეკონომიკურად მძიმედ ასაწევი ტვირთია. ამ სიტყვების მტკიცებულებად სტატიაში იქნება აღწერილი ნიუ-იორკის სამოქალაქო ცენტრის იდეის შექმნისა და აზრობრივი ჩამოყალიბების პროცესი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოხსენებაში მოცემული თემა განიხილება შემდეგ ქვეთავებში: 80 1. პრეამბულა -

აქტუალობა: სადაც იქნება განიხილება ჩვენი ქვეყნის სოციალური პრობლემები და მასთან მიბმული მოსახლეობის მიგრაციის დარგების, მათ შორის არქიტექტურის განვითარების საკითხები; 2. ისტორიული ექსკურსი: არქიტექტურაში სამართლებრივი დოკუმენტების ჩამოყალიბების კონტექსტში ქალაქგეგმარებითი იდეების წარმოქმნის დინამიკა (პარიზი, ნიუ-იორკი); 3. განსჯა: იდეა-კონცეფციის, როგორც გამაერთიანებლის როლი ქალაქური სივრცის განვითარება-ჩამოყალიბებაში; 4. დასკვნა-ფუნქციონირების ე.წ. კანონმპყრობელთა ფუნქცია და როლი ქალაქგეგმარების, როგორც არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ვექტორის მინიმალიზაციის პროცესში.

44.ქესანაშვილი ლია

„მულტიფრაქტალური გასეირნება ქალაქის ლანდშაფტში“.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი. თბილისი.2019. № 3(52), გვ.70-74. ISSN 1512-3936.

ანოტაცია:საუკუნეზე მეტია რაც განვითარებული მათემატიკური გემოვნების მქონე მკვლევარები საგნებს და მოვლენებს განიხილავენ არაევკლიდურ n-განზომილებიან სივრცეში. ბუნების ფრაქტალური გეომეტრიის დეკლარირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სხვა ხასიათის არაევკლიდურობის პარადიგმა, კერძოდ არამთელრიცხვა (წილად) განზომნილებიანი სტრუქტურების ტესტირების პრობლემატიკა. ამ ამოცანის დიზაინის, არქიტექტურის და ურბანისტიკის სფეროში აქტუალიზაციის საკითხს შეეხება შემოთავაზებული სტატია.

45. **ნ. იმნაძე**

„არქიტექტურა თბილისში“

„არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი №10. თბილისი 2019; (გვ.52-70) ISSN 2233-3266

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია 2012-2018 წლებში მიმდინარე არქიტექტურული მოვლენები, რომლებიც ქმნიან ტანამედროვე ტბილისის სახეს, ავლენენ სიახლეს და არქიტექტორთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ქალაქის მიმართ. კვლევა, რომელიც დაეყრდნო არსებული მდგომარეობის ანალიზს, ჩამოყალიბდა სამი ველით: სცენარი, ტრანსფორმაცია და რეგიონალიზმი.

46. ნ.ჩაჩავა, ნ.იმნაძე, მ.ლეკვეიშვილი, ნ.ლეკვეიშვილი.

„Peculiarities of 3D laser scanning and the big data documentation on the example of Vardzia and Gelati Complexes shaping and mural painting“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: არქიტექტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე საზოგადოება. ქ. ბაქო. 2019; გვ.123-129. ISBN 978-9952-37-229-8

Annotation: The article highlights the problems and priorities of 3D laser scanning method in architectural Heritage Documentation on the examples of Vardzia and Gelati large complexes, their shaping and mural painting analyse. There were

presented difficulties for the case of Big Data investigation and special approach for 3D Laser Scanning works. The large architectural and mural painting complexes were investigated by the way of specific, initial environment preparation in each stage of survey - site preparation part, shooting, data survey, modeling, exploring and drawing platform. The article contains the description of data registration strategy in choosing the appropriated registration system and definition of their combination in order to get complete and registered point cloud Data. For this case the methods of cluster and comparative analyze were used. As a result the recommendations for general specifics of big data laser scanning, electronic and digital database, preparation of documentation system and search engine was developed.

47. **ნ.ფაილოძე; ნ.აბესაძე**

დაწნეხვის მეთოდით ქსოვის პროცესის ანალიზი

Norwegian Journal of development of the International Science
ISSN 3453-9875 N32/2019 VOL.1 Iduns gate 4A, 0178, Oslo, Norway
email: publish@njd-iscience.com site: http://www.njd-iscience.com

ანოტაცია: ნაშრომში გაანალიზებულია ტრიკოტაჟული ტილოს ქსოვის პროცესი წნეხოვანი ხლართით. გამოიკვეთა დამოკიდებულება, მარყუჟში ძაფის სიგრძესა დადამოუკიდებელცვლადებსშორის .განისაზღვრაცვლადების ზემოქმედება მარყუჟის სიგრძეზედა ტრიკოტაჟისა და ძაფების დაჭიმვისცვალებადობისსაზღვრები. ექსპერიმენტისშედეგებიდამუშავდამათემატიკურიმეთოდებისგამოყენებით.

48.**ლ.ლურსმანაშვილი, ნ.დოლიძე, ქ.ჩირგაძე**

„საქართველოს ბავშვთა პოპულაციაში ტანადობის დარღვევების კვლევის აქტუალობა“SOI: 1.1/TAS DOI: 10.15863/TAS
International Scientific Journal
Theoretical &Applied Science
p-ISSN: 2308-4944 (print)
e-ISSN: 2409-0085 (online)
Year: 2019 Issue: 05 Volume: 73
Published: 25.05.2019 http://T-Science.org

ანოტაცია: კვლევის მიზანი იყო საქართველოს ბავშვთა პოპულაციაში ტანადობის დარღვევების გამოვლენა. ჩატარდ აუმცროს იდა უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდების ანთროპომორფოლოგიური კვლევა. კვლევამ აჩვენა, რომ ტანაგებულების დარღვევა უფრო ხშირია 6-13 წლამდე ასაკი სბავშვებში. პრობლემისდროულგამოვლენასუდიდესიმნიშვნელობააქვსშემდგომიგართუ ლებებისადასქოლიოზისპროფილაქტიკისთვის, რომელიცდღესყველაზეგავრცელებულიდაავადებაამსოფლიოში. კვლევისშედეგადდადგინდატანაგებულებისდარღვევისშემთხვევებიდაგამოვ ლინდამათირაოდენობრივიმახასიათებლები. მიღებულიმონაცემები მიუთითებსსაქართველოსბავშვთამოსახლეობისმასობრივიანთროპომორფო ლოგიურიშესწავლისაუცილებლობაზე.

კვლევისშედეგებიგამოყენებულიიქნებატანაგებულებისდარღვევებისაღმოსა ფხვრელად.

2020 **წელს გამოცემული**

49.ლ.ბერიძე. „ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების საკანონმდებლო-ნორმატიული საფუძვლები“

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 13. ISSN 2233-3266, 2020.

სტატიაში განხილულია საზოგადოების მდგრადი განვითარების და, როგორც მისი შემადგენელი ნაწილის, მდგრადი არქიტექტურის ჩამოყალიბების საფუძვლები. მდგრადი არქიტექტურა 28 წარმოდგენილია, როგორც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობა და მოცემულია ამ კომპონენტების ჩამონათვალი. სტატიის ძირითადი ნაწილი ეძღვნება მდგრადი არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას „შენობების ენერგოეფექტურობას“. იგი მოიცავს წესების და ტექნოლოგიების ერთობლიობას, რომელიც ეყრდნობა ენერგოეფექტურობის კანონმდებლობას, ნორმატიულ რეგულაციებს და მოსახლეობის ჩართულობას. სტატიაში მოკლედ მიმოხილულია შენობების ენერგოეფექტურობის ჩამოყალიბების ისტორია, მოყვანილია კანონის ის მოთხოვნები, რომლის შესრულება აუცილებელია, შენობის ენერგოეფექტურობისთვის.

50.გ.სალუქვაძე. პანდემია და ქალაქმშენებდლობა; 2020 წ. კრებულის ნომერი: 13; DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

ანოტაცია: სტატიის მიზანია განსაზღვროს მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიების მდგრადი ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგია როგორც ბუნებრივკლიმატური, ასევე სოფლის დასახლების რესურსების გამოყენებით. ქალაქმშენებლობით ფორმირებას საფუძვლად უდევს ტერიტორიის სივრცითი ორგანიზება სიმაღლეთა სარტყელების მიხედვით და შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტა.

51.მ.ძიძიგური, ნ. კვაჭაძე

„ხუროთმოძღვრების ტრადიციები აჭარისა და თურქეთის(სამსუნი) საკულტო არქიტექტურაში“

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 12, ISSN 2233-3266, 2020
https://gtu.ge/Arch/Resources/publications-2021/jurnali%20-nomeri%2012-%202020.pdf

ანოტაცია: წარმოდგენილი სტატია ეხება აჭარისა და თურქეთის (სამსუნის) ხისხუროთმოძღვრების ტრადიციებს საკულტო ნაგებობებში. ძეგლებითავიანთი არქიტექტურული ფორმით უნიკალურია და ვერნაკულარულიარქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ.სამსუნის მეჩეთების გეგმარებითი სტრუქტურა, სამხრეთიორიენტირისკენ მიმართული კვადრატული დარბაზი, ინტერიერისკომპოზიციური გადაწყვეტა და გადახურვის ფორმა:

პარალელური რიგებისგან შემდგარი კვადრატი, ცენტრში რვაწახნაგა კესონითა დავარდულით, იგივეობრივად მსგავსია აჭარის ხის მეჩეთების კომპოზიციურიგააზრებისა.ძნელია დაზუსტებით იმის მტკიცება, რომ ეს მეჩეთები ერთ "თარგზეა"აგებული თუ არა, თუმცა თვალსაჩინოა მათ შორის სიახლოვე, რაცგამოიხატება სივრცის მოწყობის სტრუქტურულ ელემენტებში, გადახურვისფორმებში, ნაგებობის მორთულობის სისტემის გააზრებაში.მშენებლობის ტექნიკა, ესთეტიკური გემოვნება, კულტურათათავისებურებები, ბუნების აღქმის სახე, ეფუძნება ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას.ერთიან გენეტიკურ ფესვებზე უნდა მიუთითებდეს სამშენებლომასალისა და მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შემონახულობაც.

52. **ძიძიგური მ., იოსებიძე გ.**

„ისტორიული უბნების ერთი პრობლემის შესახებ"

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 13, ISSN 2233-3266 2020 https://gtu.ge/Arch/Resources/publications-2021/jurnali%20-nomeri%2012-%202020.pdf

ანოტაცია: წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ შუასაუკუნეობრივიბირთვის ქვემო კალას ორი ქუჩის გომისა და ბეთლემის განაშენიანებაში განხორციელებულ ინტერვენციებზე. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა განსხვავებული ხარისხისა და მასშტაბის ინტერვენციის მაგალითები: მნიშვნელოვანი პანორამული პერსპექტივის დახშობა, ისტორიული ძეგლის არსებობის უგულვებელყოფა და ანსამბლურობის იერარქიულობის დარღვევა, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მასშტაბისა და მხატვრული სახის დარღვევა, თბილისური სახლის ესთეტიკის სტილიზაცია და მიკროუბნის ტერასულიგანაშენიანების ვიზუალური კავშირების უგულებელყოფა, საშენი მასალის ავთენტურობის დარღვევა. ჩარევები, რომლებმაც ისტორიულ განაშენიანებას სერიოზიულ ზიანი მიაყენა, ზოგ შემთხვევაში გამოწვეული იყო ინვესტორთა მხრიდან სივრცის მაქსიმალურად ათვისების ინტერესით, ზოგ შემთხვევაში უბნის ისტორიულ-მხატვრულიღირებულების არასათანადოდ გააზრებითა და გათვალისწინებით. ძალზე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისშეთავსება ფასეული განაშენიანების შენარჩუნებასთან, რაც უაღრესად ფაქიზ მიდგომასმოითხოვს სპეციალისტებისა და მოსახლეობის მხრიდან.

53. **გ.სალუქვაძე. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი ქლაქმშენებლობითი განვითარების სტრატეგიის შესახებ;** 2020 წ. კრებულის ნომერი:13; DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

ანოტაცია: სტატიის მიზანია განსაზღვროს მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიების მდგრადი ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგია როგორც ბუნებრივკლიმატური, ასევე სოფლის დასახლების რესურსების გამოყენებით. ქალაქმშენებლობით ფორმირებას საფუძვლად უდევს ტერიტორიის სივრცითი ორგანიზება სიმაღლეთა სარტყელების მიხედვით და შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტა.

54.**დ.ბოსტანაშვილი. XX საუკუნის თბილისის წაშლილი არქიტექტურული მემკვიდრეობა.** 2020წ, სტუ, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები N12. ISSNN 2233-3266.
ანოტაცია: ნაშრომში განხილულია სამი შემთხვევა („თბილისის უნივერმაგი“, „ცე-კავშირის“ შენობა, სტომატოლოგიური კლინიკა კ. აფხაზეთის ქუჩაზე), რომლებიც მეოცე საუკუნეს მიეკუთვნება და ურბანული სივრცის ტოტალური კომერციალიზაციის შედეგად წარმოშობილი ჩანაცვლების პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. რატომ იმსახურებს ყურადღებას დანგრეული შენობები? ნაშრომში მოცემულია ორი ამოსავალი წერტილი: პირველი არის მემკვიდრეობის მნიშვნელობა არქიტექტურაში და რა იმსახურებს მემკვიდრეობის სტატუსს. ატარებს თუ არა „სოციალისტურ არქიტექტურას“ კულტურული ღირებულებები, რაც უნდა დაფასდეს? მეორეც, თემა განიხილავს ორიგინალური არქიტექტურის ჩანაცვლების მიმდინარე პროცესს ანონიმური გლობალური კორპორატიული არქიტექტურული გამოსახულებებით და ურბანული სივრცეებით, რომლებიც ფუნქციონირებენ ექსკლუზიურად, როგორც კომერციული მიზიდულობის წერტილები. ნაშრომი განიხილავს იდეოლოგიას ამ პროცესის უკან.
55. **დ.ბოსტანაშვილი. მუხათგვერდის სასაფლაოს არქიტექტურული ანსამბლი (1970 - 1981)** კრებულში: „როგორ და რატომ უნდა დავიცვათ გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა. პრინციპები და მაგალითები“. 2020 წ, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი. ISBN 978-9941-8-2879-9
ანოტაცია: სტატია იკვლევს გამოჩენილი ართველი არქიტექტორის მნიშვნელვანი არქიტექტურული ობიექტის, მუხათგვერდის სასაფლაო კომპლექსის ისტორიას და არქიტექტურულ ღირებულებას.
56.**ვ.მჭედლიშვილი მ.მილშვილი,. საქალაქო გარემოს გამწვანების საკითხები.** კონფერენციის შრომათა კრებული.უდკ 330.22 ს-307. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სატყეო კვლევის პოტენციალი და პერსპექტივები.“ ISBN978–9941–8–3423–3. თბ. 2020 წ. გვ.51-54;
ანოტაცია: სტატიაში თბილისის რამდენიმე მაგალითზე განხილულია საქალაქო გარემოს გამწვანების საკითხები.
57.**ვ.მჭედლიშვილი.მ.მილშვილი,**
ამერიკელ ქალთა ბრძოლა სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად. ი.ჯავახიშვილის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. ამერიკის შესწავლის საქ.ასოციაცია. ამერკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული.თსუ. ISBN1512-1585. თბ.2020 წ. გვ.43-52;
ანოტაცია: სტსტიაში განხილულია ამერიკელ ქალთა მოძრაობისა და ბრძოლოს ეტაპები ქალთა სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად.
58.ვ.მჭედლიშვილი. მ.მილაშვილი,
ტყის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის გამოყენების თავისებურებები. სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი

ფუნქციის ოპტიმიზაციის გზები საქართველოში“ შრომათა კრებული. თბილისი, ISBN978–9941–8–3423–3.
ანოტაცია : სტატიაში განხილულია ტყის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის გამოყენების თანმდევი პრობლემები და დასმულია მათი გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი.
59.**თ.ჩიგოგიძე, ლ.ლაცაბიძე; თანამედროვე სატაძრო არქიტექტურა საქართველოში;** 2020(12), საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი; ISSN 2233-3266;
ანოტაცია: სტატიაში მოკლედ არის განხილული თანამედროვე ქრისტიანული სატაძრო არქიტექტურის ძირითადი ტენდეციები, პრობლემები და მათი გადაჭრისთვის მიმართული მცდელობები საქართველოში და ზოგადად მართლმადიდებლურ სამყაროში. აქცენტი კეთდება თავად ქრისტიანული სატაძრო არქიტექტურის არსზე და იმ ტრადიციებზე რაც მთლიანობაში განსაზღვრავდა მის სპეციფიკას. სტატიაში თანამედროვე ქართული ქრისტიანული საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშებიდან განხილული იქნა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტი თბილისში, როგორც დღეისთვის ყველაზე მასშტაბური, ტრადიციებზე დაფუძნებული ამავე დროს თანამედროვე ტექნოლოგიების და მასალების გამოყენებით აშენებული ქრისტიანული საკულტო ნაგებობა.
60.**თ.ჩიგოგიძე; ონლაინ სწავლება COVID-19 პირობებში;** 2020(13), საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი; ISSN 2233-3266;
ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია პანდემიის გავლენა არქიტექტურასა და დიზაინზე, აგრეთვე ის მოსალოდნელი სასიკეთო ცვლილებები, რამაც შესაძლებელია გაუმჯობესოს ჩვენი ცხოვრების ხარისხი. შედეგებს დაუყოვნებლივ არ უნდა ველოდოთ, ამას დრო გვიჩვენებს.
61.**ვ. ფირცხალავა. შემომსაზღვრელი კონსტრუქციების მნიშვნელობა ღირსეული საცხოვრისის შექმნისას**”. #12 2020 წ. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები;
ISSN 2233-3266
ანოტაცია: ნაშრომის მიზანია დავასაბუთოთ ადამიანისათვის ღირსეული საცხოვრისის მნიშვნელობა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ხუთი ძირითადი პრინციპი, რომლის საშუალებითაც განვსაზღვრეთ ღირსეული საცხოვრისი. შევისწავლეთ თითოეული კომპონენტი და გადავამოწმეთ შესაბამისობა როგორც უძველეს ხანასთან, ასევე თანამედროვე საერთაშორისო და 58 სამამულო გამოცდილებასთან. გავაანალიზეთ ის ძირითადი მოთხოვნები რაც ადამიანს გააჩნდა საცხოვრისის მიმართ უძველესი დროიდან დღემდე, რის საფუძველზეც გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ახალი გადაწყვეტების ძიება კაცობრიობისათვის მახასიათებელი მუდმივი პროცესია. ნაშრომის ბოლო ნაწილში დამატებით შეფასებულია შენობათა ენერგოეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები და მათი ანგარიშისას გამოვლენილი უზუსტობები. ასევე შეფასებულია სხვადასხვა მასალით მშენებლობის ეკონომიკური გავლენა თნამედროვე ქართულ მშენებლობაზე.

62.**მ.ფოჩხუა, ნ. ჭრელაშვილი, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტირების პრაქტიკა საქართველოში.** „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“,სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი, N13, 2020 წ, ISSNN 233-3266.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო ცენტრების დაპროექტების პრაქტიკა ერთი კონკრეტული კლინიკის მაგალითზე, რომლის სახელწოდებაა „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“. თემაში მოკლედაა განხილული საქართველოს რეალობა შშმ პირთათვის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობის აუცილებლობის შესახებ.

წარმოდგენილია სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შშმ პირთა რაოდენობა. დღეის მდგომარეობით განხილულია ქვეყანაში მსგავსი სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობის საჭიროება.

სტატიის ბოლოს წარმოდგენილია შშმ პირთათვის გასულ წელს დაწყებული და

თითქმის დასრულებული პროექტი, რომელიც სრულად აღჭურვილია შშმ პირთათვის საჭირო ყველა დეტალით.

63.ნ. **ხაბეიშვილი; ეპიდემიის როლი არქიტექტურის ფორმირებაში;** N2(55), 2020, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია თუ გასული საუკუნეების ეპიდემიები რა გავლენას ახდენდა მსოფლიოს მსხვილი ქალაქების, მათ შორის პარიზის, ლონდონის, ნიუ-იორკის და სხვათა არქიტექტურული სახის ფორმირებაზე. აღწერილია დღევანდელი რეალობა, როდესაც კოვიდ-19-ით გამოწვეულმა ეპიდემიოლოგიურმა ფონმა შეზღუდა სხვადასხვა სფეროში აქტიური საქმიანობა. ამ კონტექსტში ვირტუალური არქიტექტურა წარმოდგენილია, როგორც აუცილებელი და ფუნდამენტური რგოლი სამშენებლო ინდუსტრიაში. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია საგულისხმო დასკვნა იმის შესახებ, რომ ყოველი ეპიდემია ნეგატიური გამოვლინებების მიუხედავად არის პროგრესის მამოძრავებელი, მაღალი ტექნოლოგიების მიზანსწრაფული განვითარების და სხვადასხვა საინჟინრო სისტემების სრულყოფის მასტიმულირებელი ფაქტორი.

64.ნ. **ხვედელიანი; ”პარკიტექტურა როგორც ეროვნული პარკების არქიტექტურული სტილი“;** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა "; # 1(54), 2020; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: თემის მიზანია ეროვნულ პარკებში არსებული არქიტექტურული სტილის მიმოხილვა. განხილულია სტილის პრინციპები და მისი შექმნის იდეა, თუ რა მიზანი აქვს აღნიშნული სტილის განვითარებას ეროვნულ პარკებში. საბოლოო მიზანი კი არის ეროვნულ პარკებში, ბუნებასთან და გარემოსთან ახლოს მყოფი, მიმზიდველი არქიტექტურის შექმნა და მათი განვითარება.

65. **თ.ჩუბინიძე „თბილისთან შეუსაბამო აქცენტები“ -2020 წ.**

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი ,,არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ N 13 .-
ანოტაცია: სტატიაში განხილულია თბილისის სახასიათო არქიტექტურისთვის უჩვეულო ნიშნების გაჩენა, კერძოდ მიმდინარე და ახლო წარსულში აგებულიან რეკონსტრუირებული შენობების გამორჩევა გუმბათებითან კოშკებით დასრულებული გადახურვით. დამკვეთის სურვილით ადა არქიტექტორის თანხმობით ასე დაგვირგვინებული შენობები უმეტესწილად ღირშესანიშნავად და ხაზგასასმელად არ გვევლინებიან, მათი შინაარსისა და მდებარეობიდან გამომდინარე. ახლად გაჩენილი გუმბათები და კოშკები შეუსაბამო და კონფლიქტურია გარემოსთან და დაუმსახურებლად ვიზუალურ ორიენტირად, მათზე ყურადღების გადასატანადაა გამიზნული, რაც მხოლოდ სედუქტიური ეფექტისა და შელამაზებისთვისაა გამიზნული. მაგრამ როცა მათი რიცხვი შეზღუდულ ურბანულ ველზე იზრდება , ისინი გაუმართლებელი აღქმის ინტენსიფიკაციას, მობეზრებასა დ ამნახველის გადაღლას იწვევენ.

66.ჩუბინიძე თ.

მემკვიდრეობის განსხვავებული აღქმა

საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტი-შრომები N 3 (517) - ყოველკვარტალური გამოცემა. სტატია ნ.შავიშვილთან თანაავტორობით ,,: თბილისი,რუსთაველის გამზირი N 7 **2020წ.**

ანოტაცია: თბილისის მთავარ გამზირზე – რუსთაველის N 7-ში ახლად აგებული ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ქალაქის ისტორიული ცენტრის მემკვიდრეობის სადავო აღქმის მაგალი-თია.შენობისგამოკვეთილისტილობრივიპრიორიტეტებისა და ფსევდოსტილების აღრევის გამო იგი, სტატიის ავტორთა აზრით, ჯანსაღ კრიტიკულ შეფასებასიმსახურებს.

1868წ.არქ.ო.სიმონსონისპროექტითაქაიგოსასამართლო პალატა, 1874 წ. არქ. ა. ზალცმანის მიერ იგი გადაკეთდა სასტუმრო „ორიანტად“, რომელიც შემდგომ სასტუმრო „ინტურისტად“ გადაიქცა.1977 წ.შენობაში„მხატვრისსახლმა“დაიდობინა.1991წ. თბილისის ომის შედეგად შენობაგანადგურდა.

ახალი მუზეუმის შენობამ დისონანსი შეიტანა გამზირის განაშენიანებაში. სტატიისავტორთათვის უფრო მისასალმებელი იქნებოდა სრულიად თანამედროვე, გაბედული ახალი შენობა, რომელიც საკუთარ სიტყვას იტყოდა გამზირის სტილისტურ მრავალფეროვნებაში და არ დაუპირისპირდებოდა კონტექსტს, ისტორიასა და საზოგადოებას. როდესაცსაქმეურბანულწარსულთანგვაქვს,მისმიმართ პატივისცემა არქიტექტორისვალია.

67.ნ. ხვედელიანი; **„ეროვნული პარკების არქიტექტურა და დიზაინი მათი როლი და ადგილი ქვეყნების ისტორიაში“;** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; # 13, 2020; ISSN 2233-3266;

ანოტაცია: საკონფერენციო თემაში განხილულია დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების მნიშვნელობა. ეროვნული პარკების შექმნის

კრიტერიუმები და მიზნები. განხილულია ეროვნული პარკების როლი საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.
განმარტებულია არქიტექტურის როლი ეროვნულ პარკებთან მიმართებაში, ვიზიტორთა სერვისებთან დაკავშირებული საჭიროებების განხილვა, საინტერესო და ბუნებასთან ორგანული არქიტექტურული ობიექტების შექმნა. ეროვნულ პარკში აუცილებელია შეიქმნას სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც კომფორტს შეუქმნის ვიზიტორს. საუბარი მაქვს ეროვნული პარკებისთვის არსებულ კონკრეტულ სტილზე „პარკიტექტურაზე", სტილის პრინციპზე და ისტორიაზე. თემის ბოლო ნაწილში განხილულია საქართველოს ეროვნული პარკები და მათი ამჟამინდელი მდგომარეობა. მთავარი მიზანი კი ეროვნული პარკების ეფექტური მართვა და ადგილობრივი ტერიტორიების გარანტირებული განვითარება. ეროვნული პარკების განვითარება ემსახურება მოცემული ქვეყნის ეროვნული ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას.

68.მ.მელქაძე; „ჩრდილი და სინათლე"; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები # 12 თბილისი 2020 , კოსტავას 77; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: ჩვენი სტატიის მიზანია გამოვავლინოთ ის ვექტორები ადამიანის შემოქმედებით აზროვნებაში, სადაც ჩრდილი და სინათლე თამაშობს აქტიურ როლს, როგორც ლინგვისტური სისტემების კოორდინატთა ბადის ჩამომყალიბებელი, როგორც ლიტერატურაში ისე სივრცულ - არქიტექტურული აზროვნებით და პედაგოგიური მოღვაწეობის სივრცეში.

69.მ.მელქაძე; Esprit Nouveau - ახალი სული (არქიტექტურაში) - კოვიდ-19-ის რეალობაში; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები # 13. თბილისი2020 , კოსტავას 77; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: ამ სტატიის მიზანია გავაკეთოთ მოკლე ანლიზი კოვიდ-19 -თან დაკავშირებული მსოფლიოში განვითარებული მოვლენებისა არქიტექტურის ჭრილში. 1. რა სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები დააყენა ამ ავადმყოფობამ კაცობრიობის წინაშე? 2.რა დასკვნების გაკეთება შეიძლება არქიტექტურურულ პროექტირებაში მოქმედ 87 კანონებთან მიმართებაით? 3.როგორ შეუწყობს ხელს პანდემია მეცნიერულად დამტკიცებული რეგიონალური მოთხოვნების საკანონმდებლო ბაზის რეანიმირებას?

70. **ი.ქვარაია, ლ. გიორგობიანი** -

გუმბათის ჯვარი (მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიისთვის)

სტუ-ის შრომები N1(515), თბილისი 2020, ISSN 1512-0996, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, SCOPUS CODE 2216 https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-143-151

ანოტაცია. ჯვარი, ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო-ნიშანი, მრავალ რელიგიასა და კულტურაში გვხვდება. როგორც ქრისტიანთა მთავარი სიმბოლო, ის IV საუკუნიდან მკვიდრდება, რაც გოლგოთაზე ქრისტეს

ჯვარცმასთანაა დაკავშირებული. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ჯვრის თემამ უდიდესი გავლენა მოხდინა ტაძრის დაგეგმარებით-მოცულობითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, სხვადასხვა ფორმის ჯვრის გამოსახულება საკულტო ნაგებობის საფასადე და შიგა სივრცის დეკორის სავალდებულო შემადგენელი ელემენტი ხდება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტაძრის გუმბათზე აღმართულ ჯვარს, რომელიც ნაგებობის დასრულების ნიშანი, სიმბოლურად მისი ზეციური გვირგვინით შემკობაა და დამოუკიდებელი მხატვრულ-კონსტრუქციული ელემენტი. ყოველი ახალი ქრისტიანული ტაძრის აგებისას, მისი არქიტექტურული სახის თვითმყოფადობის უზრუნველყოფასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ტაძარზე აღსამართი ჯვრის მხატვრულ გაფორმებას ექცევა. თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარზე აღმართულ ჯვარს სრულიად ახლებური მხატვრულკონსტრუქციული გადაწყვეტა აქვს და საქართველოს ტაძრებზე აღმართულ ჯვრებს შორის ყველაზე დიდი წონისაა. ყველა სხვა გუმბათის ჯვრებისგან გამოირჩევა მხატვრული გაფორმებით, ორიგინალურობითა და დახვეწილი პროპორციებით.

71.**ი. ქვარაია, ლ. გიორგობიანი - მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის საკურთხეველი და მისი მხატვრული გაფორმება**
სტუ-ის შრომები N1(515), თბილისი 2020, ISSN 1512-0996, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, SCOPUS CODE 2216
ანოტაცია. ქრისტიანულ ტაძარში საკურთხეველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ზეციურ სამყაროს, სამოთხეს განასახიერებს. უდიდესი სულიერი მნიშვნელობა აქვს მის შემადგენელ მცირე არქიტექტურულ ფორმებსაც: ტრაპეზს, კანკელს, აღსავლის კარს და ა.შ. აქ შევეხებით მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წმინდა ადგილს – საკურთხეველს და მისი ცალკეული ელემენტების არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტას, რომელიც მხატვრული გაფორმების მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში. ტაძრის მთავარი ტრაპეზი მთლიანი ქვის ფილაშია შესრულებული და ყველაზე დიდია საქართველოს ტაძრებში აქამდე არსებულებთან შედარებით. მისი საყრდენი ნაწილი ძველ რომაულ სტილშია გადაწყვეტილი, რაც არ გვხვდება საქართველოს სხვა ტაძრებში. ტრაპეზს განსაკუთრებულ მდიდრულ იერს აძლევს მის გვერდებზე ამოკვეთილი ფურცლოვანი ოქროთი დაფარული ღვთისმშობლის ლოცვა. ყურადღებას იქცევს ტრადიციული ფორმის კანკელის აღსავლის კარის დეკორის თავისებურებაც. ოსტატი განსხვავებულად უდგება კარის შემკულობას საკურთხევლისა და ინტერიერის მხრიდან.
72. **მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი,** „თბილისის წმ. ნიშნის სახელობის ტაძრის ისტორიისათვის", სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი"მშენებლობა", N2(55), ISNN-1512-3936, 2020 წ. გვ. 125-129
ანოტაცია: თბილისში, ზემო კალაში, ვერცხლის, სულთნიშნისა და შ. ყავლაშვილის ქუჩებს შორის მოქცეულ მიკრორაიონში მდებარე წმ. ნიშნის სახელობის ტაძარი წლების მანძილზე დავის საგანს წარმოადგენდა ქართულ

მართლმადიდებელ და სომხურ გრიგორიანულ ეკლესიებს შორის. ჩვენს მიერ მოკვლეულ იქნა ცნობები თბილისის წმ. ნიშნის სახელობის ტაძრის შესახებ, რომლებიც დაცულია სხვადასხვა საარქივო წყაროში, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელთა თანახმად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქამდე ტაძრის აშენების თარიღად 1703 წლის დასახელება მის აგებაზე კი არა საფუძვლიან გადაკეთებაზე შეიძლება მიუთითებდეს.

73.**მ.დავითაია**

„არქიტექტურულ-გრაფიკული ასოციაციების მეთოდი არქიტექტურული პროექტირების პარადიგმასთან კონტექსტში“, სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, ონლაინ კონფერენცია კოვიდ-19-გამოწვევები არქიტექტურაში, N13 ISNN-2233-3266, 2020 წ. გვ.125-129

ანოტაცია: სტატიაში განხილულია გრაფიკული კომპოზიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები ასოციაციების შესრულების საფუძველზე. საგნის „არქიტექტურული დისკურსის თემები საერთაშორისო არქიტექტურაში“ სწავლებაში გამოყენებული შემოქმედებითი ასოციაციების რამდენიმე მეთოდი:გრაფიკული, რომელიც მნიშვნელოვანია კომპოზიციურ-გრაფიკული საშუალებების ფლობის თვალსაზრისით, კოლაჟი-არქიტექტურული პროგრამის გამოყენებით შესრულებული ასოციაცია, პანორამული, რომელიც ემყარება ფრანგი არქიტექტორის დომენიკ პეროს პრინციპს „დაანგრიე რომ ააშენო ახალი“ და გულისხმობს პანორამულ ხედში არსებული შენობის ამოკვეთას და მის ადგილას ახლის ინკორპორაციასკონტექსტის გათვალისწინებით, ასოციაცია გამონათქვამზე და არქიტექტურული ანალიზის მეთოდი.

74.**მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი, “სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის წყალტუბოს ფორმირებისა და განვითარების საკითხი“**, სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ონლაინ კონფერენცია კოვიდ-19-გამოწვევები არქიტექტურაში, N13, ISNN-2233-3266, 2020 წ. გვ.36-45

ანოტაცია: წინამდებარე სტატიის მიზანია განვიხილოთ სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს - განვითარებისა და კურორტად ფორმირების საკითხი. სტატია იწყება სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის განვითარების წინა ისტორიით. მასში საუბარია წყალტუბოს შესახებ დაცულ პირველ წერილობით ცნობებზე, ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაზე, სამკურნალო წყლების სასარგებლო თვისებებსა და მეცნიერებზე, რომლებმაც უზარმაზარი შრომა გასწიეს და ამ წყლებში სასარგებლო თვისებების აღმოჩენისთვის არაერთი ქიმიური ანალიზი ჩაატარეს, რამაც ცხადყო, რომ მოსახლეობას წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ ცოდნა უძველესი დროიდან ჰქონია. სწორედ ამ წყლებმა, კურორტის უნიკალურმა

გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ლანდშაფტმა და კლიმატმა შეუწყო ხელი წყალტუბოს სამკურნალო-დასასვენებელ კურორტად ფორმირებას. წყალტუბოს განაშენიანებაზე ყოველმა ეპოქამ და ისტორიულმა მოვლენამ წარუშლელი კვალი დატოვა. ბოლო წლებში სამკურნალო-დასასვენებელკურორტ წყალტუბოს მიმართ განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება. ჩვენი მიზანი იყო თავი მოგვეყარა წყალტუბოს შესახებ არსებული მასალებისათვის. კვლევის პროცესში მოვიძიეთ და დავამუშავეთ არაერთი წიგნი და სტატია. ისტორიული წყაროებისა თუ ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი მასალა განიხილავს წყალტუბოს მინერალურ წყლებსა და მათი მეშვეობით წყალტუბოს კურორტად ფორმირების გზას.

2021.წელს გამოცემული

75.ლ.ბერიძე. „თანამედროვე „მწვანე“ არქიტექტურის სკოლების მსოფლიო პრაქტიკა“ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი 2021 № 14, 15. ISSN 2233-3266,

ანოტაცია. სტატიაში განხილულია კომფორტული და კეთილმოწყობილი ატმოსფეროს განვითარება "მწვანე" სკოლებისთვის არქიტექტურული გარემოს შექმნის გზით. მოყვანილია სკოლის ტერიტორიების ლანდშაფტის დიზაინის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.

76.გ.სალუქვაძე. უწყვეტი ეკოლოგიის განათლების შესახებ; 2021 წ. არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი კრებულის ნომერი 14,15; DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

ანოტაცია: სტატია ეძღვნება მოზარდი თაობის ეკოლოგიური განათლებისა და ეკოლოგიური კულტურის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. წინა პლანზეა წამოწეული უწყვეტი ეკოლოგიური განათლების სისტემის მნიშვნელობა მომავალი თაობის ეკოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში.

77.ბ.**თინიკაშვილი; ხალხური არქიტექტურის პარადიგმები თანამედროვე არქიტეტურის გენეტიკურ კოდში";** 2021 სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი № 14,15; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ათასწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ხალხის მიერ შემუშავებული მშენებლობის ბიოკლიმატური მეთოდოლოგია და კონსტრუქციები, ხალხური არქიტექტურის ჰარმონიაა ადგილობრივ ბუნებრივ გარემოსა და მის კლიმატურ პირობებს შორის. ამ ტრადიციების გადმოღება, გაანალიზება და განვითარება დღევანდელი თაობებისთვის არის ბუნების, გარემოსა და ტრადიციული კულტურის პატივისცემა და წარმოადგენს მდგრადი მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტას.

78.ი. ქვარაია, ლ. გიორგობიანი - ძველი შენობის ფასადის შენარჩუნება მისი რეკონსტრუქციის დროს

სტუ-ის შრომები N1(515), თბილისი 2021, ISSN 1512-0996 DOI:https://doi.org/10.36073/1512-0996, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, SCOPUS CODE 2215

ანოტაცია. შენობის ფასადს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქის ტრადიციული იერის შენარჩუნებაში. შენობის ფასადი ეპოქის ცოცხალი გამოხატულებაა და ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ისტორიული თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებული შენობის დანგრევა კატეგორიულად მიუღებელია. აუცილებელია მისი რეკონსტრუქცია და ფასადების შენარჩუნება. თბილისში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ღიაივნებიანი საცხოვრებელი სახლების აღდგენა და დღესაც ხორციელდება ძველი უბნების რეაბილიტაციარეკონსტრუქცია. მთლიანად განახლდა ბევრი ცნობილი შენობა, მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება შენობის შიგა სივრცის სრულად გადაკეთება. ამ დროს ძირითადი პრობლემა ფასადის კედლების მდგრადობის შენარჩუნებაა, რომელსაც რეკონსტრუქციის პროცესში ხშირად არანაირი კავშირი აღარ აქვს ძირითად კარკასულ ნაწილთან. აღნიშნულ შემთხვევებში, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელია მათი დამოუკიდებლად გამაგრება, რაც სხვადასხვა წესით შეიძლება მოეწყოს, მაგრამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ფასადი აღდგენილი შენობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. უკანასკნელ წლებში, რამდენიმე ასეთი საინტერესო სარეკონსტრუქციო სამუშაო განხორციელდა თბილისში.

79.ი. ქვარაია, ლ. გიორგობიანი - თბილისური ცათამბჯენების მშენებლობა

სტუ-ის შრომები N1(515), თბილისი 2021, ISSN 1512-0996 DOI:https://doi.org/10.36073/1512-0996, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, SCOPUS CODE 2215

ანოტაცია. თბილისში პირველი მაღლივი შენობა 1938 წელს აიგო. ეს არის ცნობილი „11-სართულიანი სახლი“ გმირთა მოედანზე. XX საუკუნის ბოლომდე თბილისში ყველაზე მაღალ შენობად, 22- სართულიანი სასტუმრო „ივერია“ ითვლებოდა. იგი აშენდა 1967 წელს, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა დედაქალაქში მინიმუმ ერთი მაღლივი შენობა მაინც უნდა ყოფილიყო. ამ საუკუნის დასაწყისიდან საქართველო მთლიანად გადავიდა მონოლითური რკინაბეტონით მშენებლობაზე და მაღლივი კორპუსების რაოდენობა გაიზარდა როგორც თბილისში, ისე მთელს ქვეყანაში. პირველი ნამდვილი ცათამბჯენი, 100 მეტრზე მეტი სიმაღლის, თბილისში 2016 წელს აშენდა. ეს იყო სასტუმრო „ბილტმორის“ 138-მეტრიანი კოშკი. ამის შემდეგ კიდევ აშენდა ექვსი ცათამბჯენი, რაც თბილისის ურბანული დაგეგმარების ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

80.გ.წულუკიძე. თბილისის რესტორნების წარმოშობისა და განვითარების ისტორია; 2021, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N2 (58); ISSN 1512-3936

ანოტაცია: სტატიის მიზანია საქართველოში და კონკრეტულად თბილისის მაგალითზე რესტორნების წარმოშობის ისტორიის მიმოხილვა, მათზე

შეგროვილი ინფორმაციის მიწოდება მკითხველთათვის, რაც თავის მხრივ მას წარმოდგენას შეუქმნის რესტორნის არქიტექტურულ ევოლუციაზე.

81. **ძიძიგური მ.,**

"იდენტობა და არქიტექტურა",

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 12, 2021, ISSN 2233-3266 2020 https://gtu.ge/Arch/Resources/publications-2021/jurnali%20-nomeri%2012%202020.pdf

ანოტაცია: სტატიაში საუბარია არქიტექტურაში გამოკვეთილ განსხვავებული სახისა და მასშტაბის იდენტობაზე როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. ყურადღება გამახვილებულია ეროვნული იდენტობის კატეგორიაზე და გაანალიზებულია მისი გამომჟღავნების ნაირგვარი ხასიათი უპირატესად პოსტსაბჭოთა საქართველოს სხვადასხვა ეტაპის არქიტექტურულ ნაწარმოებებში.

82. **მ.მელქაძე, ე.სულთანიშვილი-დორქტორანტი; ჰავით განპირობებული ავთენტური არქიტექტურა (დიდი ბრიტანეთის რეგიონების მაგალითზე);** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები # 14-15, თბილისი 2021, კოსტავას 77; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ჰავით განპირობებული ხალხური ტრადიციული არქიტექტურის მაგალითები დიდი ბრიტანეთის რეგიონების მაგალითზე. წარმოდგენილია ჩემ მიერ შექმნილი ცხრილი-ტაბულა, სადაც ფიქსირებულია ყოველი კონკრეტული რეგიონის ხალხური საცხოვრებლის ტიპი. ამ ცხრილის შედგენის მიზანი იყო სისტემურად განგვეხილა და ნათლად დაგვენახა, ყოველ კონკრეტულ რეგიონში, დროში განვითარებული საცხოვრებლის ტიპი; თვალი მიგვედევნებინა ერთსა და იმავე ეპოქაში საცხოვრებლის ტიპების რეგიონალურ სხვაობებს. ეს მაგალითები იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ ჩამოყალიბდეს საერთო ნიშნები და სხვაობები ხალხური ტრადიციული არქიტექტურისა, რომელიც შემდეგ გამოგვადგება როგორც ანალიტიკური სისტემა რეგიონალურ არიტექტურაში განზოგადებისთვის. დღევანდელი არქიტექტურა, თავისი ტექნოლოგიური ბუმის ფონზე, ეძებს რა გამოხატვის ახალ ენას, იხედება უკან ტრადიციული არქიტექტურისაკენ იმიტომ, რომ კონსტრუქციული ნოუ-ჰაუს პრევალირებამ გამოიწვია თანამედროვე არქიტექტურული ენის კოსმოპოლიტირება.

83. **მ.მელქაძე, მ.ბეჟუაშვილი-დორქტორანტი; პიროვნება, ტექნოლოგიები, ეპოქა...;** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები # 14-15 თბილისი 2021, კოსტავას 77; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია, როგორ განაპირობებს ეპოქა და კულტურა პიროვნებას, რაც შედეგად განსაზღვრავს არქიტექტურული

აზროვნების სისტემის ჩამოყალიბებას, რამეთუ, სწორედ პიროვნება წარმოადგენს არქიტექტურული ქმნადობის აბსოლუტურ ცენტრს. ოსკარ ნიმეიერის მაგალითზე განხილულია როგორც პიროვნების როლი და პასუხისმგებლობა არქიტექტურულ სივრცეში, ასევე ყველა ის აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ჯანსაღი და ადეკვატური არქიტექტურის ქმნადობას. თემის ბოლო ნაწილში განხილულია თუ როგორ შეცვალა ტექნოლოგიურმა განვითარებამ არა მხოლოდ არქიტექტურა, არამედ სრულიად შემოქმედებითი სამყარო. ხაზგასმულია ის ფაქტორები, რის გამოც ტექნოლოგიური შესაძლებლობები შემოქმედებითი შეზღუდვის წყაროდ ფორმირდება, რაც შედეგად არაჯანსაღი და არაადეკვატური არქიტექტურის სახით ვლინდება.

84. **მ.მელქაძე, რთულ რელიეფზე დასავლეთისკენ ორიენტირებული განაშენიანების პრობლემები (მახათას ქედის ნაძალადევის კერძო დასახლების მაგალითზე);** სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები # 14-15 საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2021, კოსტავას 77; № 14,15; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: რთული რელიეფის მოშენების საკითხი ყოველთვის იყო, არის და იქნება აქტუალური, რადგან საკითხი, თუ როგორ უნდა განთავსდეს ანტროპოგენული გარემო ბუნებრივ გარემოში ამ უკანასკნელის ვანდალურად განადგურების გარეშე მუდმივი პრობლემაა. თუ ჩვენ განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის მთის არქიტექტურას, ის იყოფა ორ ვექტორად: 1. ფორტიფიკაციური სისტემები კოშკები და 2. საცხოვრებელი სტრუქტურები, როგორიცაა მაგ; შატილი, მუცო და სხვა დასახლებები სოფლები, ციხესიმაგრეები. ჩვენი განხილვის საგანი არის მახათას ქედის ნაძალადევის კერძო განაშენიანება და მისი პრობლემები. რა არის ეს პრობლემა? - ადამიანის კომფორტული ყოფნა მის საარსებო გარემოში. ზემოთმოყვანილი განხილვის საგანი დასავლეთის ორიენტაციის რთული რელიეფის მქონე ფერდი წარმოადგენს არადამაკმაყოფილებელ ბიოკლიმატური გენეზისის მქონე არეალს, რაც სპეციფიკური არქიტექტურული სისტემა-სტრუქტურის შექმნას მოითხოვს, ეს კი დინამიკაში წარმოადგენს ჩვენ მიერ დამუშავებულ თეორიას, რომელიც მომავალში შეივსება პრაქტიკული ნაწილით არქიტექტურული პროექტის სახით.

85. **მ. მელქაძე, ზ. გეგუჩაძე -დორქტორანტი; „მუსიკალური ჰარმონია არქიტექტურაში“.;** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები # 16 თბილისი 2021, კოსტავას 77; #16; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიის მიზანია საუბარის დაწყება მუსიკალურ ჰანგსა და არქიტექტურულ პროპორციებს შორის ურთიერთკავშირსა და მათ ურთიერთჰარმონიაზე. მასში მოყვანილი კონკრეტული მაგალითები გვიჩვენებს მუსიკალურ ჰანგსა და არქიტექტურულ პროპორციებს შორის

არსებულ ემოციურ კავშირს დროსა და სივრცეში. ამგვარად, სტატიაში მოყვანილი მაგალითები საშუალებას მოგვცემს, მომავალში, მოვიძიოთ მტკიცებულებები ზემოთქმული დებულების გასამყარებლად.

86. **მ.მელქაძე, მ.ბეჟუაშვილი-დორქტორანტი; პანდემია და არქიტექტურა;** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი 2021, კოსტავას 77; #16; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია, თუ როგორ განაპირობებს ისეთი ეპოქალური მოვლენა, როგორიც პანდემიაა, სრულიად არქიტექტურის მიმართულებას. სტატიაში ნათლადაა ნაჩვენები, რომ კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში ინფექციური დაავადებები მუდმივად იჩენდა თავს და შესაბამისად - არქიტექტურაც, როგორც დარგი, მუდმივად განიცდიდა ტრანსფორმაციას, რათა კაცობრიობის გადარჩენისათვის საუკეთესო ინსტრუმენტად ჩამოყალიბებულიყო. ალვარ აალტოს მაგალითზე განხილულია ის გზა, რომელსაც არქიტექტორი, როგორც პიროვნება გადის არქიტექტურული ბრძოლის სახით დაავადებასთან მიმართებით, როდესაც არქიტექტურა ტექტონიკით, ფერით, საინჟინრო სისტემებით, სტრუქტურით, სივრცეებითა და ყველა სხვა არქიტექტურული ელემენტით უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობას.

87. **მ. მელქაძე, ქართული არქიტექტურის ფარული გმირები;** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები თბილისი 2021, კოსტავას 77; #16; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია: ამ სტატიის მიზანია, გავიხსენოთ ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე წარმომადგენლები, რომელთა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნისა და დედაქალაქის ისტორიაში, უნიკალური არქიტექტურული ნაწარმოებების სახით. ეს ყოველივე უნდა გახდეს ახალი თაობის არქიტექტორებისათვის, და არა მარტო არქიტექტორებისათვის, ნათელი მაგალითი იმისა თუ როგორი მაღალი ეთიკურ-მორალური სტატუსის მქონე უნდა იყოს ქვეყნის თითოეული მოქალაქე და, კერძოდ, შემოქმედი-არქიტექტორი, რათა შეძლოს საკუთარი ქვეყნის განუმეორებლობისა და ავთენტურობის შენარჩუნება.

88. **თ.ჩუბინიძე**

,,ქართული რეგიონალური კულტურა და სასტუმრო არქიტექტურა“ 2021წ.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი ,,არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“N 14 --

ანოტაცია: სტატიაში განხილულია კოვიდ -19 პანდემიის დროს გამოვლენილი ქალაქგარეთის განვითარების აქტუალურობის ფონზე საკურორტო მომსახურეობის ობიექტების,კერძოდ სასტუმროების არქიტექტურა და მასში საქართველოს რეგიონებისთვის დამახასიათებელი

ინდივიდუალური ფასეულობების მიხედვით გამოყენებული ნიშნები,რომლებიც ახერხებენ ან ვერ ახერხებენ იყვნენ ჰარმონიულად ინტეგრირებულნი არსებულ გარემოსთან ან ბუნებრივ ლანდშაფტთან.

89. **მ.ძიძიგური, ე.ხუნდაძე**

„არაკონვენციური არქიტექტურა“

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 14,15, 2021, ISSNN 2233-3266

https://gtu.ge/Arch/Resources/publications-2021/jurnali%20nomeri%2014-15.pdf

ანოტაცია: ჩამოთვლილი მაგალითების განხილვას ჩვენი კვლევის ფარგლებში ამ ეტაპზემივყავართ დასკვნამდე, რომ ინსტალაცია არის არქიტექტურული შემოქმედებისსრულფასოვანი გამოვლინება. მეტიც, ჩვენ აქვე შეგვიძლია მივუსადაგოთგანმარტება და გავმიჯნოთ ინსტალაციის ფენომენი საკუთრივ არქიტექტურულიინსტალაციისაგან. კერძოდ, არქიტექტურულად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთიინსტალაცია, რომელიც არა მარტო სივრცული ჩანართია რომელიმე სივრცისფორმირებაში (შესაბამისად არის ამ სივრცის ნაწილი და ამ უფლებით -არქიტექტურული ფაქტი), არამედ ნაწილია გარკვეული აქტუალურიარქიტექტურული დისკურსისა და წარმოადგენს ავტორის დამოკიდებულებას ან
გამონათქვამს ამ დისკურსის ფარგლებში.ასევე შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ ინსტალაცია და სხვაპერფორმატიული გამოვლინება არქიტექტურის პრაქტიკული ასპექტისსრულფასოვანი ნაწილია, მისი მნიშვნელობა განუზომელი და შეუცვლელიაწარმოსახვისა და პროფესიული ცნობიერების გაფართოების საქმეში, რის გარეშეცრეალური ფუნქციური პროექტირება დაკარგავდა იმ კატეგორიების სიმაღლეს,რომელსაც ხელოვნების რანგში გადაჰყავს ადამიანის პრაგმატული საქმიანობა.

90.**მ.ძიძიგური,**

“თანამედროვე თეატრალურ-მუსიკალური ნაგებობების ფორმათქმნადობის თავისებურებანი”, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალიN16, 2021

ISSNN 2233-3266

https://gtu.ge/Arch/Resources/publications-2021/jurnali%20nomeri%2016-3.pdf

ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია XXI საუკუნის დარბაზთა ტიპების მიხედვითგანსხვავებული თეატრალურ-მუსიკალური სანახაობრივი ნაგებობების რამდენიმე მაგალითი და მათი ფორმათწარმოქმნის მიზეზები. განხილული მაგალითების საფუძველზე გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის სანახაობრივი ნაგებობებისფორმათქმნადობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელთაგან კონკრეტულშემთხვევაში ცალკეულის, როგორც განმაპირობებელი ფაქტორის უპირატესობაგამოიკვეთა. ინოვაციური ტექნოლოგიები, გარემო ფაქტორები, კონტექსტისთავისებურებები, არქიტექტორის თავისებური ბიოლოგიური მოდულებითშთაგონებული კონცეპტუალური ხედვა - ეს ის ასპექტებია, რაც სტატიაში განხილულიარქიტექტურული ნაწარმოებების ორიგინალობას და ინდივიდუალობასგანსაზღვრავს.

91.**თ.ჩიგოგიძე; თ.ჯინჭარაძე;**
პანდემიის გავლენა არქიტექტურასა და დიზაინზე;
2021(16), საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი; ISSN 2233-3266;
ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია პანდემიის გავლენა არქიტექტურასა და დიზაინზე, აგრეთვე ის მოსალოდნელი სასიკეთო ცვლილებები, რამაც შესაძლებელია გაუმჯობესოს ჩვენი ცხოვრების ხარისხი. შედეგებს დაუყოვნებლივ არ უნდა ველოდოთ, ამას დრო გვიჩვენებს.
92.**ნ. ქოჩლაძე; „ღია განათლება და ღია საგანმანათლებლო რესურსები ინოვაციურ პედაგოგიკაში“** (თანაავტორი - დ. ცუცქირიძე) სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი N13 „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, ხელმოწერილია დასაბეჭდად 09.03.2021; ISSNN 2233-3266;
ანოტაცია: დღევანდელი სამყარო ძირეული გარდაქმნებისა და მუდმივი ცვლილებების პროცესშია. მიმდინარე ციფრული რევულუცია, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული გამოწვევები თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამის არსებით ცვლილებებს მოითხოვს, რასაც COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური საფრთხეებიც ემატება. ფაქტობრივად, ჩვენს რეალობაში იქმნება ტენდენციები, რომლებმაც ათასწლეულის გამოწვევებს ღირსეულად უნდა უპასუხოს. ავტორები მიიჩნევენ, რომ განათლებამ და მასთან დაკავშირებულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა საკითხებმა ორივე თვალსაზრისით, როგორც გარდაქმნების, ასევე COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ კრიზისულ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ავტორთა მიერ გამოკვეთილია ყველა ის ძირითადი სირთულე, რომლის წინაშეც განათლების სისტემა აღმოჩნდა, მათ შორისაა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დროებით დახურვა; სწავლების 135 ონლაინ/ელექტრონული ფორმით გაგრძელება; სასწავლო მასალებზე წვდომის შეფერხება; სხვადასხვა სახის სამეცნიერო/კვლევითი და სტუდენტური საქმიანობის/აქტივობის შეფერხება; ინტერნეტსა და მობილურ ხელსაწყოებზე წვდომის გართულება და სხვ. ავტორების აზრით, ამ და სხვა პრობლემათა დასაძლევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ღია განათლებასა და ღია საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებს ენიჭება. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა ღია განათლებისა და მისი ერთ-ერთი კომპონენტის ღია საგანმანათლებლო რესურსების რაობას, მნიშვნელობასა და საჭიროებაზე, მათ დადებით მხარეებსა და უპირატესობებზე; ღიაობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელზე- ღია ლიცენზიაზე, ე.წ. 5R-ის პრინციპზე და ა.შ. ყველა ამ ფაქტორის შესწავლითა და გათვალისწინებით, ასევე საგანმანათლებლო პროცესებზე დაკვირვების საფუძველზე, ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში მთავრობებისა და შესაბამისი ინსტიტუციების სწრაფი რეაგირების შედეგად, ფაქტობრივად, დაჩქარდა ყველა ის პროცესი, რაც ხელს უწყობს ღია განათლებისა და ღია საგანმანათლებლო რესურსების განვითარებას,

მაგალითად, როგორიცაა სივრცითი და დროითი ბარიერების დაძლევა; ელექტრონულ სასწავლო მასალებზე წვდომის გაუმჯობესება; სტუდენტებისა და პედაგოგების მოტივაციის ზრდა, ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და ა.შ. აგრეთვე საქართველოში COVID-19 – ის პანდემიის დროს დაძლეულმა გამოწვევებმა, მაგ: ონლაინ/ელექტრონული ფორმით სწავლების გაგრძელებამ, მაღალხარისხიანი სასწავლო საგანმანათლებლო პლატფორმების შექმნამ, ინტერნეტსა და მობილურ ხელსაწყოებზე არასაკმარისი წვდომის გამო სატელევიზიო სკოლის შექმნამ და ა.შ., ცხადყო დისტანციური/ონლაინ სწავლების, ღია განათლებისა და ღია საგანმანათლებლო რესურსების საჭიროება და მათი კიდევ უფრო განვითარების აუცილებლობა.

93.ნ. ხაბეიშვილი; მწვანე სახურავი საქალაქო გარემოს დიზაინში - ესთეტიკა და ფუნქცია; N16, 2021, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; ISSN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია დღევანდელი რეალობის ერთ-ერთი პოპულარული ტენდენცია - საქალაქო გარემოს დიზაინში გამწვანებისთვის უჩვეულო ზედაპირების - სახურავების გამოყენება. ნაშრომში აღწერილია მწვანე სახურავების მოწყობის გზები და წარმოჩენილია მათი დადებითი თვისებები, მათ შორის ქალაქის საერთო ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესება, ენერგოეფექტურობის საკითხების მოგვარება, ხმის იზოლაცია და ხმაურის დონის შემცირება, მოსახლეთა ჟანგბადით მომარაგება, ჰაერის მტვრის ნაწილაკებისაგან გაწმენდა და სხვ. მოყვანილია მსოფლიოს მოწინავე ქალაქების გამოცდილება, რომლებიც აქტიურად ნერგავენ მწვანე სახურავების ტექნოლოგიას. სხვდასხვა ქვეყნების მაგალითებთან ერთად სტატიაში ასევე განხილულია ჩვენს დედაქალაქში ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება. მოწოდებულია აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებით არსებული მნიშვნელოვანი ცნობები და გაკეთებულია საგულისხმო დასკვნა.

94.ნ. ხაბეიშვილი; საქალაქო გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტის - ხელოვნური განათების განვითარების ეტაპები და თანამედროვე ტენდენციები; N14-15, 2021, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; ISSN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ღამის ქალაქის მაფორმირებელი მნიშვნელოვანი კომპონენტის - ხელოვნური განათების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. გამოკვეთილია განათების სისტემების შესაძლებლობები და თანამედროვე ტენდენციები, რაც მჭიდრო კავშირშია შუქ-ტექნიკის სფეროში არსებულ პროგრესთან. ხელოვნური განათების ჭრილში აღწერილია ჩვენი დედაქალაქის ისტორია და არსებული ვითარება, გაკეთებულია საგულისხმო დასკვნები.

95.ნ. ხაბეიშვილი; ვირტუალურ მულტიმედიური ტექნოლოგიების როლი თანამედროვე ქალაქის იერსახის ფორმირებაში; N14-15, 2021, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; ISSN 2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ვირტუალურ-მულტიმედიური სისტემა თანამედროვე ქალაქში, როგორც ესთეტიკის ელემენტი, რომელიც ქმნის ეფექტურ ვიზუალურ-კომუნიკაციურ გარემოს. მიმოხილულია გრაფიკული დიზაინის კონტენტის სხვადასხვა სახე, კერძოდ, ინტერაქტიული კონტენტი მედიაფასადი - თანამედროვეობის საყოველთაო ვიზუალური ენა, რომელიც პასუხისმგებელია საქალაქო გარემოს საერთო სურათის ესთეტიკურ მხარეზე და რომლის დახმარებითაც ხდება გარემოს ვიზუალური კულტურის ნორმატივების შექმნა, ქალაქის საინფორმაციო ველის ფორმირება. აღწერილია მედიაფასადების გამოყენების მაგალითები როგორც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისე საქართველოში. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია საგულისხმო დასკვნა იმის შესახებ, რომ საქალაქო გარემოში მედიაფასადების ჩართვისას ზუსტად უნდა განისაზღვროს მათი გამოყენებისა და განთავსების არეალი, ფასადების ნათების ფერითი სპექტრი და სიკაშკაშის ინტენსივობა.

96.ნ. ხვედელიანი; **„ეკოტურიზმი - მდგრადი ტურიზმი ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე“;** სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“; გამომცემლობა აგრო; # 1(45), 2021; ISSN 1512-2743;

ანოტაცია: სულ უფრო და უფრო, ბევრი ადამიანი ცდილობს აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრებას. ცხოვრების წესი, რომელიც ხელს უწყობს „კეთილდღეობას” და ჯანმრთელობას. ბევრისთვის ამ ცხოვრების სტილის მიღწევა გულისხმობს ბუნებასთან კავშირის კიდევ უფრო გაძლიერებას.

სახელის მიხედვით, არასწორედ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაცული ტერიტორიები მხოლოდ ბუნების დაცვაზე არის ორიენტირებული და არ იძლევა რაიმე სახით მასში ადამიანის ჩარევის საშუალებას. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან დაცული ტერიტორიები ქმნის ეკოტურისტებისთვის სრულყოფილ გარემოს. ეროვნულ პარკებს და დაცულ ტერიტორიებს ექმნებათ გამოწვევები მათკენ მიმართული ტურისტული ნაკადის გამო. ამასთან მდგრადი ტურიზმი მოიცავს კონცეფციას, რომ ისე ვესტუმროთ აღნიშნულ ტერიტორიებს, რომ მაქსიმალურად დადებითი გავლენა მოვახდინოთ გარემოზე, საზოგადოებაზე და ეკონომიკაზე. ეროვნულ პარკებს ასევე აქვთ შესაძლებლობა და პოტენციალი იყვნენ გარანტი ცხოვრების წესის უკეთესობისკენ შეცვლის რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე.

97.ნ. **ხვედელიანი; სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის ისტორიისათვის;** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; #16, 2021; ISSN 2233-3266;

ანოტაცია: სენაკის თეატრის მაგალითზე ვნახეთ თუ როგორ რა პრინციპით იგებოდა და იმკობოდა მსგავსი დანიშნულების შენობები სტალინურ პერიოდში. როგორი იყო ექსტერიერისა და ინტერიერის მხატვრულ-დეკორატიული გადაწყვეტის თავისებურებები. საინტერესოა, რომ სენაკის ურბანული სივრცისთვის აგრერიგად უცხო ვიზუალის მქონე ნაგებობა არა მხოლოდ ჰარმონიულად ჩაეწერა გარემოში, არამედ სენაკის ურბანული ქსოვილის განუყოფელ ნაწილად კი იქცა.

98.**იმნაძე ნ. ვარდოსანიძე გ.**

კავშირის არქიტექტურა/არქიტექტურული კავშირი

ISSN 2233-3266 სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ურბანისტიკის თანამედროვე პრობლემები“,თბ.2021 № 16 ქ. თბილისი სტუ-ს გამომცემლობა

ანოტაცია. წინამდებარე სტატიის მიზანია წარსულსა და დღევანდელობას შორის არქიტექტურული კავშირის ინტერპრეტაციის თავისებურების ანალიზი ორი ობიექტის მაგალითზე: „კლარისის“ ორდენის მონასტერი კაპელა რონშანის გვერძე და უფლიციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმის რეკონსტრუქციის პროექტი. ორივე ობიექტი ფუნქციური პროგრამით განსხვავადება ერთმანეთისგან არქიტექტურული ფორმით, თუმცა ეს განსხვავება გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ ის საერთო პრინციპი, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ „არქიტექტურული კავშირი“. „არქიტეტურული კავშირი“ აყალიბებს ადგილს „მეხსიერებისთვის“ ფაქიზი და ფარული დიალოგით წარსულთან.

99.**იმნაძე ნ. კორძაია გ.**

ბენზინგასამართი სადგურების არქიტექტურა

2021 ISSN 2233-3266 სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ურბანისტიკის თანამედროვე პრობლემები“,თბ.2021 № 16 ქ. თბილისი სტუ-ს გამომცემლობა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქ. თბილისში განთავსებული ბენზინგასამართი სადგურების არქიტექტურა, მათი განვითარება და სახეცვლილება/ტრანსფორმაცია. ძირითადი ნაწილი ეძღვნება სადგურების ანალიზს. მათი არქიტექტურის განხილვას ვიზუალურ/ესთეტიკურ ასპექტში, ქალაქგეგმარებით გადაწყვეტებსა და უცხოური მაგალითების ანალიზს. მოკლედ მიმოხილულია, თუ რას იწვევს და რა ზიანს აყენებს მათი არასწორი განთავსება, უსაფრთხოების ნორმების დარღვევა ქალაქს. რეკომენდაციები, გადაჭრის გზები შემუშავებულია ქართული და უცხოური მაგალითების მიხედვით.

100. **იმნაძე ნ. ქურხაშვილი ზ.**

„კოსმოსური არქიტექტურა“

ISSN 2233-3266 სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ურბანისტიკის თანამედროვე პრობლემები“,თბ.2021 № 16 ქ. თბილისი სტუ-ს გამომცემლობა

ანოტაცია. სტატიაში განხილულია კოსმოსური არქიტექტურა დღევანდელი ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე.

ძირითადი ნაწილი ეძღვნება პროექტების ანალიზს. მათი არქიტექტურის განხილვას ვიზუალურ/ტექნოლოგიურ ასპექტში, ქალაქგეგმარებით გადაწყვეტებს დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე.

ამ საკითხების დამუშავება მოგვცემს საშუალებას უფრო ფართო ჭრილში დავინახოთ განვითარების ტენდენციები და გარკვეული გამოწვევების მკაფიოდ, მართებულად გადაჭრის გზები.

101. **ნ. იმნაძე**

"წყალი, როგორც ინსპირაციის წყარო არქიტექტურული ფორმათწარმოქმნისთვის" 2021 სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ურბანისტიკის თანამედროვე პრობლემები",თბ.2021 № 14,15 ქ. თბილისი სტუ-ს გამომცემლობა

ISSN 2233-3266

ანოტაცია. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია დამოკიდებულება არქიტექტურასა და წყალს შორის და წყლის გავლენა არქიტექტურულ ფორმათწარმოქმნაზე პორტუგალიის უახლეს არქიტექტურაში. საკითხი აქტუალურია, როდესაც არქიტექტურა ახალი პარადიგიმის ძიებაშია. ურთიერთობა წყალსა და არქიტექტურას შორის განიხილება ახალი სივრცის ფორმირების, სინთეზის და დიალოგის ფორმათწარმოქმნის ასპექტში. ანალიზით გამოვლინდა, რომ განხილული ობიექტების ფორმა ასახავს არქიტექტურის მთავარ იდეას - ურთიერთზემოქმედებას ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის, კავშირს და დიალოგს ქალაქსა და გარემოს შორის.

102. **ნ. იმნაძე, გ. ვარდოსანიძე. XXI საუკუნის საზოგადოებრივი სივრცის არქიტექტურა, როგორც სანახაობა .** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ურბანისტიკის თანამედროვე პრობლემები",თბ.2021 № 14,15 ქ. თბილისი სტუ-ს გამომცემლობა

ISSN 2233-3266

ანოტაცია წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საზოგადოებრივი სივრცეების არქიტექტურა კონკრეტული მაგალითების. კვლევამ გვიჩვენა, რომ განხილული მაგალითები წარმოადგენენ ახალი ტიპის საზოგადოებრივ სივრცულ სტრუქტურებს, პირობით ნაგებობებს, რომელთა მთავარი ფუნქციაა, თითქმის კრიტიკულად გადატვირთულ პრაგმატულ ქალაქში, არქიტექტურით შექმნას ადამიანზე ორიენტირებული დამაინტრიგებელი, სანახაობრივ ეფექტებზე გათვლილი, სტერეოტიპების მიღმა გარემო. თუმცა აქ ყველაზე საინტერესოა თავად დაპროექტების პროცესი, არქიტექტურული ფორმის კვლევის მეთოდი: დინამიზმი, საზღვრების არ არსებობა, ინტეგრირება სივრცეში. გზამ კონცეფციიდან ფორმამდე, წარმოქმნა ინტერესი და შექმნა სანახაობა. რომელიც, როგორც საზოგადოებრივი სივრცის მაფორმირებელი, ზრდის მის მნიშვნელობას და ხდება უნკალური.

103.**მ.დავითაია,ნ.ბარნაბიშვილი, „სტალინისტური პერიოდის არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტურ-კომპოზიციური გადაწყვეტის თავისებურებები რუსეთში (სამკურნალო-დასასვენებელი კურორტებისმაგალითზე)",** სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები" ონლაინ კონფერენცია, N16 ISBN 2233-3266, 2021 წ. გვ.3-12

ანოტაცია: წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია სტალინისტური პერიოდის არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტურ-კომპოზიციური

გადაწყვეტის თავისებურებები რუსეთში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობის ოთხი ეტაპის განხილვის საფუძველზე და ამ ეტაპებისთვის დამახასიათებელი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენის მაგალითები.

104.**მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი, „ფერეიდნელთა საცხოვრისისა და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების შესახებ“,** სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი“მშენებლობა“ N3(59), ISNN-1512-3936, 2021 წ. გვ.51-57

ანოტაცია: ფერეიდანი ცენტრალური ირანის პროვინციაა. ბახთიარის მთებში, ქ. ისპაანიდან 100 კმ-ით დაშორებულ ამ ადგილას XVII საუკუნის დასაწყისში (1614-1617 წწ.) ირანის შაჰმა აბას I-მა საქართველოდან აყრილი 200 ათასი ქართველის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ აქ დაასახლა. 2017 წლის ზაფხულში ვიმყოფებოდი ფერეიდანში, ირანში. ვნახე ფერეიდნელთა საცხოვრისი და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, ჩამოვიტანე უნიკალური ფოტომასალა და დავიწყე კვლევა. სტატიაში წარმოდგენილია ჩემი მცირე კვლევის შედეგები. ჩემს მიერ მოკვლეულ იქნა ცნობები რომლებიც დაცულია სხვადასხვა საარქივო წყაროში, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ძიების პროცესში ვნახეთ, რომ მწირია ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ აღწერს ფერეიდანში არსებულ ქართველთა საცხოვრისს. არსებობს კვლევები სხვადასხვა კუთხით, მაგრამ საფუძვლიანი კვლევა ფერეიდნელ-ქართველთა საცხოვრისის შესახებ ვფიქრობ, რომ აქამდე არ გაკეთებულა და ამ მხრივ, ჩემი მცირე კვლევა, სიახლეს წარმოადგენს.

105. **M. Давитая,** „СОВРЕМЕННАЯ ИНТЕРПРЕТАЦИЯ **«**ЭЛЕМЕНТОВ**»** ДИЗАЙНА АРХИТЕКТУРНОЙ СРЕДЫ ТРАДИЦИОННОГО ГРУЗИНСКОГО ЖИЛИЩА“, Кафедра «Дизайн» Азербайджанского Университета Архитектуры и Строительства,Научно-методическаяIII Международная конференция «Современные проблемы дизайна», Сборник статей, УДК 72 (72.01, 72.03, 72.04) , УДК 7 (7.01), İSBN 978-9952-37-684-5,г. Баку, 2021 г. Ст.280-289

Аннотация. В статье рассмотрена одна особенность Грузинской традиционной архитектуры, перенесённая современными Грузинскими архитекторами в жилые комплексы. Эта особенность касается террасообразной застройки в высокогорной Хевсуретии, в Шатили. где расспространены дома с плоскими перекрытиями и традиционный тип городского жилища на рельефе «баниани сахли». Выявлены особенности «элементов» дизайна архитектурной среды их роль в современном строительстве.

106. **მ.მაისურაძე; ნ.ნასიძე. სივრცის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი არქიტექტურულ გარემოში** „ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #14-15; ISSN 2233-3266 სტუ. არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები; არქიტექტურის, ურბანისტიკისადა დიზაინის ფაკულტეტი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“; თბილისი 2021

რეზიუმე ნაშრომი შეეხება არქიტექტურულ გარემოს და მასში არსებული სივრცის ორგანიზების მნიშვნელობას, ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებას, განსხვავებას ადგილს, მოცულობასა და სივრცეს შორის; თუ როგორ იქმნება სოციალურ-ბუნებრივი სისტემა და როგორ ბატონობს ადამიანი გარემოზე. ქალაქი განხილულია, როგორც ადამიანის

საცხოვრებელი სივრცე. როგორც ცივილიზაციის აკვანი და მწვერვალი, სადაც ყოველთვის იქმნებოდა და ახლაც იქმნება კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშები.

107.**მ.მაისურაძე; ნ.ნასიძე.**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პრობლემების საკითხი თანამედროვე არქიტექტურულ გარემოსთან მიმართებაში თბილისის მაგალითზე; სამეცნიერო-ტექნიკურიჟურნალი „მშენებელი“,თბ. 2021 № 3/59/; ISSN 1512-3936; საგამომცემლოსახლი „ტექნიკურიუნივერსიტეტი“; თბილისი 2021

რეზიუმე: თემა მოიცავს ქ. თბილისის თანამედროვე არქიტექტურულ გარემოს სივრცით–გეგმარებითი სტრუქტურის შესწავლას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ნაგებობების მნიშვნელობის განსაზღვრას ძველ და ახალ გარემოსთან მიმართებაში. ნაშრომი ეძღვნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პრობლემების საკითხებს თანამედროვე არქიტექტურულ გარემოსთან მიმართებაში თბილისის მაგალითზე, ზოგადათ არქიტექტურას, შენობებს, რადგან ისინი წარმოადგენენ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია ერთიანობაში წარმოადგინოს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ტიპები, საზოგადოებრივი და კერძო სივრცეები, უზრუნველყონ მათი ურთიერთობა.

108.**ტყავის სამოსის ძირითადი დეტალების ფართობის გამოსათვლელი ახალი მეთოდიკის შემუშავების წინაპირობების კვლევა**

ლ.ლურსმანაშვილი; თ.კუდავა

ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ № 1(50)2021, თბილისი, გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“. ISSN 1512-3537

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ტყავის სამოსის ძირითადი დეტალების (კალთა, ზურგი, სახელო, საყელო) ფართობების გამოსათვლელი მეთოდის შემუშავებისათვის საჭირო წინა პირობების კვლევა. ტყავის ტანსაცმელში შეუძლებელია მრავალფეროვანი მოცულობითი კონსტრუქციების ფორმების გამოყენება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიო მასალის რაოდენობისა და შესაბამისად ნაწარმის თვითღირებულების გაზრდა, აღნიშნულიდან გამომდინარე ნატურალური ტყავის მასალის ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად, აუცილებელია თითოეული ნაწარმისათვის დადგინდეს კონსტრუქციული ელემენტების ის რაოდენობა და ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმის ზუსტად მორგებას ფიგურაზე და მასალის ხარჯვის ნორმების მინიმუმამდე დაყვანას. ნატურალური ტყავის მასალის რაციონალური გამოყენებისათვის ნაშრომში მოცემულია ნაწარმის ძირითადი დეტალების ტექნიკური ესკიზები, რომლებიც დანაწევრებულია მცირე ზომის დეტალებად, ისეთი კონსტრუქციული ელემენტების გამოყენებით, როგორიცაა დეტალების დანაწევრება სიგრძივი, განივი, ოვალური და დახრილი მიმართულებით. კონსტრუქციული დანაწევრების ეს მეთოდი უზრუნველყოფს ნაწარმის სასურველი ფორმის მიცემას და ტყავის მასალის ფართობის რაციონალურ გამოყენებას.

109.ლ.ლურსმანაშვილი

სასულიერო პირთა სამოსში გამოყენებული მასალების კვლევა

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“-
„ კონფერენციის მასალები“ ბათუმი-2021; გვ.144-156
ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019 ISBN978-9941-9519-2-3info@batu.edu.ge

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია სასულიერო პირთა სამოსში გამოყენებული მასალები ძველ საქართველოში. როგორც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული, ისე ისტორიული წყაროებიც მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ უძველეს ქართველურ ტომებში ფართოდ ყოფილა განვითარებული სელისა და მატყლის ქსოვილების წარმოება.დაბადების ქართულ თარგმანში სელის სამოსელთან ერთად მატყლის სამოსელიც არის მოხსენებული. ხოლო გამოკვლევებიდან დადგინდა, რომ მე-5 საუკუნიდან საქართველოში გავრცელებული იყო აბრეშუმის ქსოვილის წარმოება და მისი გამოყენება სასულიერო პირთა სამოსში. მოყვანილია ვრცელი ისტორიული მასალა თითოეული ქსოვილის გავრცელებისა და წარმოების შესახებ.

2022წელს გამოცემული

110.ლ.ბერიძე. გირკელიძე თ. (დოქტორანტი) „მინის ფასადები მაღლივი შენობების არქიტექტურაში“

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 17. ISSN 2233-3266, 2022.

არქიტექტურა არის რთული, მრავალმხრივი სისტემის ორგანიზება გარემოში, ფუნქციონალური, ტექნიკური, ესთეტიკური პრინციპების ურთიერთკავშირი, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი და რომელთა შორის თითქმის ყოველთვის არის ისეთი მასალა, როგორიცაა მინა. რა არის არქიტექტურული მინა? რა ადგილი უჭირავს მას ამ სისტემაში? მინას, როგორც მასალას არქიტექტორის ხელში, ძალიან მდიდარი ისტორია აქვს. მინის ინდუსტრიაში ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია მე-17 საუკუნეში ფურცლოვანი მინის გამოგონება, რომლის გარეგანმა სახემ მთლიანად შეცვალა დამოკიდებულება მისი ჩვეულებრივი თვისებების მიმართ. მე-19 საუკუნეში მეტალის კონსტრუქციის გამოჩენა გახდა არქიტექტურული ფორმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რადგან შესაძლებელი გახდა კედლის ტექტონიკის გათავისუფლება მისი ძირითადი ფუნქციისგან (მზიდი კონსტრუქცია). შემდგომში, მისი გამოყენების შედეგად, შესაძლებელი გახდა დიდი ზედაპირების შექმნა, შენობების კომპოზიციური სტრუქტურის სხვაგვარად გადაჭრა. მე -19 საუკუნის ბოლოდან მინა გახდა არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე გამომხატველი საშუალება. თუ ჩვენ გავაანალიზებთ არქიტექტურის ისტორიას, მე -20 საუკუნე არის არქიტექტორებისა და დიზაინერების

ექსპერიმენტები ამ გამორჩეული მასალის, მისი ფილოსოფიური და ესთეტიკური როლის პარალელურად ძიება და უფრო და უფრო სრულყოფილი მინის ტიპისა და გამოყენების ახალი ფორმების შექმნის პროცესი. მინა გახდა ერთ–ერთი ფაქტორი, რამაც გავლენა მოახდინა არქიტექტურული ობიექტის ახალი ესთეტიკის შემუშავებაზე, რომლის გარსმა უნდა დაიცვას ადამიანი არახელსაყრელი გარემო ფაქტორებისგან და, ამავდროულად, უზრუნველყოს მისი მაქსიმალური ვიზუალური კავშირი გარე სამყაროსთან.

111.გ.წულუკიძე. თანამედროვე რესტორნის ინტერიერი როგორც მასობრივი კულტურის გარემო და ვიზუალური კომუნიკაციის სივრცე; 2022, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N2 (58); ISSN 1512-3936

ანოტაცია: სტატიის მიზანია შეისწავლოს რესტორანი, როგორც მასობრივი კულტურის გარემო. თანამედროვე რესტორანში ინტერიერის დაპროექტება ხორციელდება უსისტემოდ და ქაოტურად. არ არის ასახული სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის ესთეტიკური მოთხოვნილებები. არ ხდება სარესტორნო დაწესებულებების ინტერიერის სტილისტურ-მხატვრული ცვლილება დროის და ეპოქის ცვლილებასთან ერთად.

112.თ.ჩიგოგიძე;

მულტიმედიური პროექტირების საწყისები და განვითარება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე; 2022(17), საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი, ISSN 2233-3266;

ანოტაცია: ეძღვნება ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის კოლეგებს, რომელთა პედაგოგიური, სამეცნიერო და საპროექტო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობით პროექტირებასა და კვლევაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პრობლემატიკასთან.

მულტიმედიური პროექტირების საწყისები და განვითარება ჩვენში უკვე ნახევარსაუკუნოვანზე მეტ ისტორიას მოიცავს, რაც ძირითადად ცალკეული პიროვნებების ინიციატივაზე იყო დამოკიდებული, თუმცა გარკვეული ინსტიტუციური და ორგანიზაციული წინაპირობებიც არსებობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სახით.

113.მ.ფოჩხუა, თ. ხარბედია. სამცხე- ჯავახეთის მთიანი რეგიონის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების კონცეფციის ზოგიერთი წანამძღვარი. „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“,სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი, N17, 2022 წ, ISSNN 233-3266.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სამცხე-ჯავახეთის მთიანი რეგიონის აქტუალური პრობლემები სოფელ ტაბაწყურის მაგალითზე. მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, სოფლის და ზოგადად რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება მდგრადი განვითარების კონტექსტში. ხაზგასმულია

სივრცის დაგეგმარების გეგმის, დასახლების ურბანული სტრატეგიის შემუშავების უზრუნველყოფის აუცილებლობა შესაბამის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

114.მ.ფოჩხუა, თ. ხარბედია. მდგრადი მშენებლობა მთიან რეგიონში: ტრადიცია და ინოვაცია (სამცხე-ჯავახეთის სოფლების: ტაბაწყურის, მოლითისა, ჭიხარულასა და ბალანთას მაგალითზე). სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, N4(64), 2022 წ, ISSNN 1512-3916.

ანოტაცია: სტატია მიზნად ისახავს საქართველოს მთიან მხარეში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში რესურსული კვლევის შედეგების ანალიზს; მდგრადი მშენებლობის ტრადიციების გამოვლენის პარალელურად ინოვაციური მეთოდების დანერგვის აუცილებლობის ხაზგასმას. ტაბაწყურის თემში შემავალი სოფლების მაგალითზე ურბანული პროცესების კვლევასა და ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ის მახასიათებლები, რაც თავის მხრივ განაპირობებს გარემოს სივრცით-გეგმარებითი მოწყობის კონკრეტულ პერსპექტიულ განვითარების შესაძლებლობებს.

115.მ. ღამბარაშვილი (გაგაძე); ,,მაღლივი შენობების ზოგიერთი ნორმატიული და ქალაქგეგმარებითი ასპექტი”; ,,არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები’’; _ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. ISSN2233-3266;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია შენობების ორიენტაცია ქვეყნის მხარეების მიმართ, მზისგან დამცავი საშუალებების სახეები და მათი კლასიფიკაცია. ტექსტი ილუსტრირებულია გრაფიკული და ფოტომასალით.

116.ქ. სალუქვაძე, შ. გელაშვილი; ტერიტორიის ეკოლოგიური შეფასება; სტუ 2022 წელი #17; არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ქალაქის ურბანული ტერიტორიების კომპლექსური ეკოლოგიური შეფასების საკითხი,რომელიც თანამედროვე ქალაქმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც ეფუძნება: ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ქალაქის გარემოს ოპტიმიზაციას.

117.ქ. სალუქვაძე, „უსაფრთხო არქიტექტურა და ქიმიის როლი მშენებლობაში“; სტუ-ს სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ #3(63)2022 წელი; ISNN1512-2936;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ქიმიისა და არქიტექტურის, ორი მნიშვნელოვანი დარგის ურთიერთობა, რომ ქიმია როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება დიდი როლს თამაშობს არქიტექტურასაში. განხილულია სამშენებლო მასალები, რომლებიც ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე ინტერიერების მოსაპირკეთებლად. მათი თვისებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რამდენად უსაფრთხოა მათი გამოყენება.

118.ნ. ქოჩლაძე; „საქართველოში ღია საგანმანათლებლო რესურსების (ღსრ) მიმდინარე განვითარება“ (თანაავტორები - დ.ცუცქირიძე, ნ. ჟიჟილაშვილი), სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი N17 „არქიტექტურისა და

ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.05.2022; ISSNN 2233-3266 DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

ანოტაცია: მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და COVID-19-ის პანდემიით განპირობებულმა კრიზისმა თანამედროვეობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა განათლების სფეროშიც, კერძოდ, ციფრული სამყარო განათლების სფეროს განუყოფელი ნაწილი გახდა. შეიქმნა ცოდნის გაზიარებისა და სწავლის ახალი შესაძლებლობები, მათ შორის, გააქტიურა ღია საგანმანათლებლო რესურსების (ღსრ) განვითარება. ღია საგანმანათლებლო რესურსების (ღსრ) გამოყენება ხელს უწყობს მასალის უფასოდ გავრცელებას, ახალი ინფორმაციით სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების შევსებას; კურსის შინაარსის სხვადასხვა ფორმატით მიწოდებას; ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას; უწყვეტი განათლების მიღებას და ა.შ. მისი სარგებლიანობის გამო ღსრ მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში იკიდებს ფეხს. ღსრის მხარდამჭერ აქტივობებში მონაწილეობას იღებენ იუნესკო, უილიამ და ფლორა ჰევლეტების ფონდი, ენდრიუ ვ. მელონის ფონდი, მსოფლიო ბანკი, ასევე, „ღია განათლების საზოგადოება” (Open Education Community), „გახადეთ სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი“ (Make Textbooks Affordable), „კოლეჯების ღია სახელმძღვანელოები“ (College Open Textbooks), ღია ცოდნის ფონდი (Open Knowledge Foubndation), „ღსრ-ის მხარდაჭერა SPARC-ის მიერ“ (OER Support from SPARC) [14] და ა.შ. ღსრ-ის საქართველოში ამჟამინდელი მდგომარეობის შესასწავლად მოვიძიეთ და გავეცანით ჩატარებულ აქტივობებს და ინტერნეტსივრცეში არსებულ შესაბამის ქართულენოვან ინფორმაციასა და მასალას. როგორც აღმოჩნდა, ამჟამად, საქართველოში, საზოგადოებისთვის ღსრ-ის გაცნობის ეტაპი და დანერგვის პირველი მცდელობებია. აქტივობები ღია საგანმანათლებლო რესურსების პოპულარიზაციისა და განვითარების თვალსაზრისით ცალსახაა, თუმცა მცირეა. მნიშვნელოვანია მდგრადობის საკითხიც. უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება 138 ითქვას, რომ ღსრ-სთან დაკავშირებული ინიციატივები განგრძობადი რომ აღმოჩნდეს და ერთჯერადი ან ხანმოკლე ხასიათი არ ჰქონდეს, აუცილებელია დაინტერესებული მხარეების მუდმივი აქტივობა და ფინანსური მხარდეჭერა. საქართველოში ღსრ-ის უწყვეტი განვითარება მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებში თანამომაწილეობის კიდევ ერთი საშუალებაა.

119.ნ. ხაბეიშვილი; ურბანული გარემოს დიზაინის საკითხები და ვიდეოეკოლოგიური პრობლემები; N2(62), 2022, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია დღევანდელი რეალობის ერთ-ერთი პოპულარული ეკოლოგიური პრობლემა - ვიდეოეკოლოგია და მისი როლი დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში. ნაშრომში აღწერილია ვიდეოეკოლოგიის არსი და მისი ნაკლებობით გამოწვეული პრობლემები

ახლანდელ რეალობაში. სტატიაში ასევე განხილულია ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ეკოლოგიის პრობლემის ერთმანეთზე გადაჯაჭვულობა. ასევე საუბარია დღეისთვის ეკოლოგიური ფონის გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებზე და ამ ყოველივეში ვიდეოეკოლოგიის როლზე. ნაშრომი შეჯამების სახით მოიცავს საგულისხმო რეკომენდაციას, რაც დღევანდელობაში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობისთვის გასათვალისწინებელი და დამაფიქრებელია.

120.ნ. ხაბეიშვილი; რევიტალიზაცია, როგორც სოციალური კომუნიკაციის აღორძინების საშუალება; N1(523), 2022, სტუ-ის შრომები; SCOPUS CODE 2216, https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-208-216;

ანოტაცია: ურბანულ გარემოში ძეგლისა თუ ნებისმიერი შენობის ფასადის სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს რევიტალიზაცია წარმოგვიდგება როგორც პროცესი და არა შედეგი ახალი დატვირთვით, რასაც საზოგადოების კომუნიკაციის ჯანსაღი პლატფორმა ჰქვია. გაშუქებულია ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ვექტორი, რომლის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობისას, ძეგლის ან შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხდება სოციალური დატვირთვის შენარჩუნება და არა დაკარგვა, ფასადის დაფარვის ახლებური მეთოდით, კერძოდ LED დისპლეი ფარდის პანელით, რისი მეშვეობითაც სამუშაოების დასრულებამდე საზოგადოებისთვის აღქმადია ფასადის სამომავლო სახე, რის შედეგადაც შენობა დროებით კონსერვაციას აღარ საჭიროებს. ურბანული გარემოს რეაბილიტაციის დროს ობიექტზე მიმდინარე სამუშაო პროცესის ამ სახით შეფუთვა ხალხის ინტერესს უფრო გააღვივებს და მათი გადაადგილების ტრაექტორიის ცვლილებას არ გამოიწვევს. მსგავსი ინსტალაცია ხალხის ნაკადს უფრო მეტად მიიზიდავს, სოციალური კომუნიკაცია კი ნაცვლად იმისა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო შეწყდეს, უწყვეტად გაგრძელდება და შესაძლებელია მეტად გაცხოველდეს კიდეც. დასასრულ, მიუხედავად მსოფლიოში საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მრავალი ფაქტორის არსებობისა, არქიტექტურა დღესაც გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია, შესაბამისად მისი გავლენაც ადამიანებზე საკმაოდ დიდია, საზოგადოებაში შემავალი ცალკეული სუბიექტები ქმნიან არქიტექტურას, აწვდიან მას სოციუმს, ფუნქციონირებენ, ურთიერთობენ და იყენებენ მას, როგორც კომუნიკაციის დამყარების აუცილებელ საშუალებას.

121.ნ. ხაბეიშვილი; ღამის თბილისის ხელოვნური განათება; N1(61), 2022, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ღამის თბილისის ხელოვნური განათება, მისი წარმოშობა, განვითარების ეტაპები და დღევანდელი მდგომარეობა. გამოკვეთილია ხელოვნური განათების შესაძლებლობები და მისი წვლილი ღამის ქალაქის ფორმირებაში. მკაფიოდ არის ხაზგასმული დღევანდელი თბილისის ხელოვნური განათებების პრობლემები. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია გაჟღერებული პრობლემების გადაჭრის გზები და ოპტიმალური მეთოდები. გაკეთებულია საგულისხმო დასკვნა, რომ

ხელოვნური განათება აყალიბებს ღამის ქალაქის იერსახეს და წარმოადგენს მისი ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორს.

122.ნ. ხაბეიშვილი; განახლებული ძველი შენობა, როგორც თანამედროვე ეკო მეგობრული ნაგებობა – „Sub Station 164“ -ის პროექტის განხილვის საფუძველზე; N1(61), 2022, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“; ISSN 1512-3936;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია დღევანდელი რეალობის ერთ-ერთი პოპულარული ტენდენცია - საქალაქო გარემოს დიზაინის ფორმირება არსებული მდგომარეობის გამოყენებითა და მისი გაუმჯობესებით. ნაშრომში აღწერილია კონკრეტული პროექტი და წარმოჩენილია საინტერესო მიდგომებით არსებული ნაგებობისთვის ახალი სიცოცხლის მიცემა ისე, რომ ამავდროულად ის ეკო მეგობრულიც გახდეს. მოყვანილია მსოფლიოს მოწინავე ქალაქის - სიდნეის გამოცდილება, რომლებიც აქტიურად ეწევა ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ფორმირების პროპაგანდას. სტატია აღწერს დღევანდელობის საჭიროებებს შენობის პროექტირებასა და რევიტალიზაციაში და შეჯამების სახით მოიცავს საგულისხმო დასკვნას, რაც ყურადსაღებია ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურული გარემოს უკეთესობისკენ შეცვლის თვალსაზრისით.

123.ნ. ხვედელიანი; საქართველოს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და კულტურული მიზნები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული; №1(523), 2022; ISSN 1512-0996; DOI: https://doi.org/10.36073/1512-0996; https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-22-29;

ანოტაცია: ეროვნული პარკები იცავენ სხვადასხვა დანიშნულების მრავალფეროვან ტერიტორიებს. გარდა ამისა, ბუნებასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმი ინდივიდუალური მასშტაბით წარმოადგენს უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი ვალდებულების გამოვლინებას. ადამიანები უნდა ეწვიონ ეროვნულ პარკს, რომ გაეცნონ და დააფასონ ადგილობრივი დაცული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა.

ბუნებასთან ტრადიციული კავშირი, ხელოვნება და სახელოსნო ტრადიციები, საცხოვრებელი ადგილების მოწყობის თავისებურებები, რიტუალები, წეს-ჩვეულებები მიეკუთვნება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს - „ცოცხალი ტრადიცული კულტურა“, რომელსაც ავრცელებს და ინარჩუნებს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა.

სტატიაში განხილულია მიდგომები და სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ დავიცვათ და ამასთანავე გამოვიყენოთ მემკვიდრეობის ძეგლები დაცულ ტერიტორიებზე, ტურისტული თვალსაზრისით. სტატიაში ასევე მოყვანილია საზღვარგარეთის მაგალითები.

სტატიის მიზანია ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და მათი შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ობიექტები, საქართველოს

დაცული ტერიტორიებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილებს წარმოადგენს.

124.მ.მელქაძე, არქიტექტურული თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიზაცია სინქრონიზაციის პროცესი ეპოქალურ ჭრილში; საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი 2022, კოსტავას 77; #17; ISSNN 2233-3266;

ანოტაცია:რას ვგულისხმობ ამ დებულებაში დაპირისპირებულთა ერთიანობა? მოვიაზრებ, ერთი მხრივ - არქიტექტურის, როგორც მეცნიერებისა და მეორე მხრივარქიტექტურის, როგორც შემოქმედებისა და შედეგობრივად პრაქტიკის ურთიერთ მიმართებისა და ურთიერთ გამომავლობის საკითხს. სტატიის მიზანი რა ასპექტში გვინდა განვიხილოთ ზემომოყვანილი დებულება? 1.არქიტექტურული მოღვაწეობა - მეცნიერული კვლევა->შემოქმედება- >პროექტირება; 2. კლასიკური არქიტექტურული განათლება - სამივე საფეხურზე, როგორც ურთიერთ გამომდინარე და ლოგიკურ, სისტემურ განვითარებაში მყოფი ერთი მთლიანი სტრუქტურა.

125. **გ. ნაცვლიშვილი; ბრაუნფილდების არსებობის პრობლემა თბილისში;** საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2022 წ. ISSNN 2233-3266 DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

ანოტაცია: მოგეხსენებათ, რომ დედაქალაქის დღევანდელ რეალობაში მშენებლობა წინა პლანზეა წამოწეული, ეს პროცესი სულ უფრო და უფრო იზრდება, ყოველდღიურად ხდება ახალი ტერიტორიების ათვისება. ამისათვის კომპანიები არც სკვერების დაკავებას და არც ხეების გაჩეხვას ერიდებიან, ეს მაშინ როდესაც თბილისში და არა მარტო, სრულად უფუნქციოდაა დარჩენილი ეგრეთწოდებული ბრაუნფილდები, ანუ ყოფილი საწარმოო ტერიტორიები, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ უნარი ჰქონდეთ ფუნქცია. შესაბამისად, სრულად ლოგიკურია გამახვილდეს ყურადღება მათ აღდგენასა და მისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაზე. აღნიშნული ფაქტორი ურბანული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, და უდიდეს მნიშვნელობას ატარებს ქვეყნის განვითარების გზაზე, ვინაიდან არსებული რესურსის მეორედ გამოყენება ახალი რესურსების დაზოგვას გულისხმობს.

126.თ.ჩუბინიძე; თ.ჭანტურია

,,სააგარაკე სახლების განვითარების ტენდენციები მიმდინარე უცხოურ და ქართულ არქიტექტურაში“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი ,,არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“N 17 **2022 წ .**

ანოტაცია: სტატიაში განხილულია მიმდინარე უცხოურ და ქართულ არქიტექტურაში განვითარებული ტენდენციები, ბოლო დროს მეტად გამძაფრებული აქტუალობის მქონე ქალაქგარე სახლებისა და ვილებისათვის.

არქიტექტურის ამ მიმართულების ამოცანები და მათი ახლებურად გადაჭრის ხერხების სამაგალითოდ მოყვანილია უცხოური არქიტექტურის ნიმუშების რამოდენიმე მაგალითი და ამ ფონზე ქართველი არქიტექტორების ხედვები ,მათი მრავალფეროვანი მიდგომები და

ინდივიდუალური ნიშნები. ამავე დროს ხაზგასმულია გაუთვითცნობიერებელი დამკვეთის ჩარევით საერთო სახის შექმნაზე მიყენებული ზიანი.

127.**თ.ჩუბინიძე , ნ.შავიშვილი**

„ბოლო„ 3 ათწლეულის კერძო ვილები ამერიკაში: ნანატრი ალტერნატივა?“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი- ჟურნალი **„შრომები** ‘’ - ყოველკვარტალური გამოცემა. **თანაავტორობით** N3 (525) **2022 წ.**

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, ძირითადათ მისი ცენტრალური რეგიონების, კერძოვილების არქიტექტურული პროექტები, რომლებიც, ავტორთა აზრით, უქმნიან ნანატრ ალტერნატივას აშშ-ს კომერციულხუროთმოძღვრებას, რომელიც კრიზისის ვითარებაშია მასზე განხორციელებული კორპორატიული ზეწოლის გამო. ავტორებმა შეისწავლეს 7 წამყვან ამერიკულ სპეციალიზირებულ ჟურნალში 2011-2020 წლებში გამოქვეყნებული პროექტები, რომელთაგან ბევრი, მათ მიერვე შერჩეული კრიტერიუმებით, საყურადღებო გახდა თავიანთი მზარდი, საინტერესო ტენდენციებით.

სტატიის ავტორებს არ დაუსახავთ მიზნად შეგროვილი მასალების სრულყოფილი კლასიფიკაცია მოეხდინათ, თუმცა შემოგვთავაზეს გარკვეული ტიპოლოგიური ნიშნები ვილების დაჯგუფებისთვის. გასულიათწლეულის თითქმის ყველა კერძოსახლიტყისანმთის, წყლისპირის ან კიდევ სხვა ბუნებრივგარემოსთანაადაკავშირებული, დაძლეული აქვს გარემოსადმი გაუცხოების ადრეულ-მოდერნისტული პრობლემა და ამავდროულად საკუთარი დამოუკიდებლობით ამ გარემოს შემავსებლებლადაც კიიქცევიან. ხშირად გამოყენებულია როგორც ბუნებრივი, ასევე მაღალტექნოლოგიური სამშენებლო ხერხები და მასალები, მიმდინარე ეტაპისთვის დამახასიათებელი ლაკონური და არახმამაღალი განაცხადები, ასევე არაა იშვიათი არაპროგნოზირებადი მომხმარებლების სურვილების დაკმაყოფილების მაგალითები,ხშირია მდგრადი სახლის შექმნის

წარმატებულიმცდელობებიდაბუნებრივკლიმატურპირობებსდაქვემდებარებ ული გადაწყვეტები. ამ ყველაფრით ამერიკის კერძო ვილებშიქალაქების კომერციული არქიტექტურის ნანატრი ალტერნატივის ტენდენციები მკაფიოდ იკვეთება.

128. **მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი. „სამკურნალო-დასასვენებელი კურორტ წყალტუბოს ტოტალიტარული პერიოდის სანატორიუმებისა და სააბაზანოების მხატვრულ-დეკორატიული მოტივები ეროვნულ ტრადიციასთან კონტექსტში“**, სტუ-ის შრომები - Works og GTU – Труды ГТУ, N1 (523), 2022 წ. გვ.183-196

ანოტაცია: ეროვნულობის საკითხის კვლევა და ეროვნული ტრადიციების კავშირის დადგენა ტოტალიტარულ არქიტექტურასთან მეტად მნიშვნელოვანია. სტატიაში ვსაუბრობთ ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, სანატორიუმებისა და სააბაზანოების გაფორმებაში მხატვრულ-დეკორატიულითავისებურებების კავშირის გამოვლენაზე. განხილულია

ეროვნულ ტრადიციებთან, კლასიკური და ნაციონალური დეკორის ერთიანობის საკითხი და მათი დაქვემდებარების, მიდგომების გათვალისწინებით გავაკეთეთ შედარებითი ანალიზი. კვლევისას მოვიძიეთ ლიტერატურა და ალბომები, კერძო არქივებში დაცული ფოტომასალა და ყველა ის დოკუმენტი, რომელთა განხილვა საშუალებას მოგვცემდა გვესაუბრა სამკურნალო-დასასვენებელ კურორტ წყალტუბოში ტოტალიტარულ პერიოდში აგებულ შენობათა მხატვრულ-დეკორატიულ თავისებურებებზე ეროვნულ ტრადიციასთან კონტექსტში.

129.**მ.დავითაია, გ.ქართველიშვილი,** „თბილისის XVIII-XIX სს. რელიგიურინაგებობებიმეცნიერთა კვლევებში“, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი“მშენებლობა“ N3(59), ISNN-1512-3936, 2022 წ. გვ.91-95

ანოტაცია: სტატიაში საუბარია, საბჭოთა პერიოდში, თბილისის არქიტექტურული სივრციდან გამქრალ ან ფუნქციაშეცვლილ რელიგიურ ნაგებობებზე, კერძოდ, სინაგოგაზე, მეჩეთზე, მართმადიდებლურ, გრიგორიანულ, კათოლიკურსა და ლუთერანულ ტაძრებზე. სტატიაში მიმოხილულია არა ერთი მოგზაურის, ისტორიკოსის, თუ მკვლევარის ნაშრომი და საარქივო მასალა თბილისის შესახებ. სტატია გვაწვდის ინფორმაციასიმ ტაძრების შესახებ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ნგრევას გადაურჩა, თუმცა განაგრძეს არსებობა სხვა ფუნქციით საცხოვრებელი, თეატრალური, თუ საოფისე ფართობების სახით.

საგულისხმოა, რომ საბჭოთაპერიოდში, რელიგიური ნაგებობების დანგრევის ძირითადი მიზეზი თბილისის სხვადასხვა უბანში, ამა თუ იმ ტერიტორიის ათვისება და ახლებურად მისი გააზრება გახდა. ქართულ მართმადიდებლურ ტაძრებთან მიმართებაში, საბჭოთა ხელისუფლებამ დაანგრია მხოლოდ ისინი, რომლებიც იმ პერიოდისთვის არ წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

130.**მ.დავითაია, „არქიტექტურის რეპრეზენტაცია,** “სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ონლაინ კონფერენციის კრებული N17, ISNN-2233-3266, 2022 წ. გვ. 40-49

ანოტაცია: სტატიაში საუბარია თანამედროვე არქიტექტურაში წარმოქმნილ მეთოდზე, რომელიც უკავშირდება ფორმაწარმომქმნელ ძიებებში რეპრეზენტაციის (იდეის ხელახალი წარმოდგენა, გამეორება) საკითხს. გამეორებაშესაძლოაიყოსმიზანდასახულიარქიტექტურულიტაქტიკა, რომელსაცსაბოლოო შედეგის სრულყოფილებამდე მიჰყავს საწყისი იდეა. ცნობილია ისიც, რომ რეპრეზენტაცია ანადგურებს საწყის შინაარსს. არქიტექტურაშიგანმეორებადობის რეჟიმი გვაშორებს შემოქმედებითობისგან და მის ნაცვლად გვთავაზობს იდეის ხელახალი წარმოდგენის უსასრულო ციკლს. მსოფლიო არქიტექტურაში ამის მაგალითები მრავლადაა ეგვიპტურ, ბერძნულ, რომაულ, აღორძინების, ნეოკლასიციზმისა და სხვა პერიოდის არქიტექტურულ ნიმუშებში. XX ს. მოდერნიზმი, რომელიც ამერიკის კონტინენტზე განსაკუთრებული სახით წარმოჩნდა. განმეორებადობის პროცესი, როგორც „რეალობად“ გარდაქმნის მეთოდი დაედო საფუძვლად მოდერნიზმს. არსებობს განგებ მიმსგავსების მაგალითები. მოხსენებაში

მოყვანილია რეპრეზენტაციის ისეთი მაგალითები, რომლითაც მდიდარია მსოფლიო.

131.**მ.დავითაია, ა. რეხვიაშვილი**, **„ბოლო ათწლეულებში მიკვლეული რაჭის ფრაგმენტირებული კანკელები“,** სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ონლაინ კონფერენციის კრებული N17, ISNN-2233-3266, 2022 წ. გვ. 49-59

ანოტაცია: რაჭის სხვადასხვა სოფლებში (ჩორდი, ღუნდა, სხიერი, ბოყვა, ზემო ბარი, სევა, სამთისი, ქედისუბანი) უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლენილი ქვის და თაბაშირის ფრაგმენტირებული კანკელები X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება, რომლებიც სახელოვნებათმცოდნეო წრეებისთვის ნაკლებად ცნობილ ან სრულიად უცნობ ნიმუშებს წარმოადგენენ. აღნიშნულ არტეფაქტებს პარალელები ეძებნება თანადროული ქართული ხელოვნების ქვაზე კვეთის ნიმუშებს (ფოთოლეთის, ხაშურის, მცხეთის, წებელდის, ჯრუჭის, სავანის, სპეთის და სხვა კანკელები) შორის, რომლებთანაც, რიგ შემთხვევებში, მხატვრულ-სტილისტური მსგავსების მიხედვით ცალკე ჯგუფს ქმნიან, ანდა ერთ სახელოსნოში ერთიანდებიან. დასახელებული ნიმუშების კვლევამ გამოავლინა რაჭის კანკელების ფართო სპექტრი. ხოლო ანალიზმა, წინ წამოსწია მათი შესწავლის მნიშვნელობა აღნიშნული რეგიონის, X-XIსაუკუნეების ქვაზე კვეთის ხელოვნების ერთიან კონტექსტში განხილვის პროცესში.

132.**ძიძიგური მ., გ. იოსებიძე**

„ვიზუალური ხელოვნება სხვადასხვა სივრცეში”,

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, #17, 2022

ISSNN 2233-3266

DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

ანოტაცია: სტატიაში საუბარია იმ კონცეპტუალური ხელოვნების აღქმის თავისებურებებზე, რომელშიც მნიშვნელოვნი როლი აკისრია ურბანულ და არქიტექტურულ გარემოს. შეფასებები ეფუძნება 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში დიზაინერ ნ.ჩუბინიშვილის მიერ განხორციელებული ვიზუალური ხელოვნების რამდენიმე კონკრეტული ნიმუშის - სცენოგრაფიული და საინსტალაციო ნამუშევრის ანალიზისსაფუძველზე. ავტორი თავისუფალ სივრცეს უტოვებს დამთვალიერებელს აღქმისასინდივიდუალური ასოციაციის საფუძველზე საკუთარი ემოციის, დამოკიდებულებისგამოხატვისთვის. საინტერესოა როგორ იცვლება ეს ასოციაციები, სკულპტურებისრაოდენობის, მათი განთავსების ადგილის ისტორიული-გეოგრაფიული თუ გარე დაშიდა სივრცული მახასიათებლების მიხედვით. ბუნებრივია, ასოციაციებისუბიექტურია, რაც თითოეული აღმქმელის ინფორმატიულობასა და განწყობაზეადამოკიდებული. უფრო მეტიც, აღმქმელი თვითონ იქცევა „პერფომანსის“ პასიურთუ აქტიურ მონაწილედ, რასაც ავტორის ჩანაფიქრი განაპირობებს.

133. **მაისურაძე მ., ნასიძე ნ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობა და არქიტექტურული ძეგლების**

ქალაქ ფორმირების პოტენციალი.არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები № 17 ISSNN 2233-3266 DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266 თბილისი 2022 სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი

რეზიუმე -სტატიაში მოცემულია ქ. თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ნაგებობების მნიშვნელობის განსაზღვრა, სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ერთიანობაში წარმოადგინოს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ტიპები, საზოგადოებრივი და კერძო სივრცეები, უზრუნველყოს მათი ურთიერთობა. როგორ ხდებოდა არქიტექტურის განვითარება წარსულიდან დღემდე და რა გავლენა მოახდინა გასულმა საუკუნემ თბილისის განვითარებაზე. რა თქმა უნდა ისტორია მნიშვნელოვანი რგოლია, რომელმაც თავისი ფურცლები ყველა სფეროში დაწერა და განადგურება გულისხმობს ამ ჩაწერილი გვერდების ამოგლეჯას. შესაბამისად, ამის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ისტორიის გააზრება. ფაქტობრივად, ჩვენი ქალაქი გასულ საუკუნეშია განაშენიანებული. ყურადღება გამახვილებულია ურბანული დაგეგმარების ასპექტებზე, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობისას განიხილება 91 არქიტექტურული ძეგლების ქალაქ ფორმირების პოტენციალი. სადაც განსაზღვრულია შემდეგი ფაქტორები: • ურბანული დაგეგმარების პარამეტრები ; • მასშტაბი (გეგმის ზომები, სართულიანობა, ფასადის გონივრული გადაწყვეტა); • შედგენილობა და სტრუქტურა; • სილუეტი (შენობის სიმაღლე და მოცულობა, სახურავის ფორმა, მასალების შერჩევა და ფერების სქემა); • სტილისტიკა (დისონანსი, კონტრასტი, იმიტაცია). გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი სხვა პრობლემები - თუ როგორ უნდა შემოვიტანოთ ახალი ობიექტი, ისტორიულ გარემოში. თუ როგორ არის ახალი ობიექტი ჩასმული, ქალაქის ქსოვილში ფუნქციური დაგეგმვისა და სივრცითი თვალსაზრისით. როგორი უნდა იყოს შენობის სიმაღლე უსაფრთხო და დომინანტური კომპოზიციური გავლენისთვის. აგრეთვე გასათვალისწინებელია ქალაქის კონკრეტული მონაკვეთის სოციალური, მხატვრული და ურბანული განვითარების პოტენციალი, რადგან გაცილებით მაღალია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვის.

134.**ლ.ლურსმანაშვილი;გ.კვანტიძე;ნ.ფაილოძე**

„ფერთა ჰარმონიზაცია ქართულ ორნამენტში“

Georgian Scientists, ქართველი მეცნიერები, Vol. 4 Issue 5, 2022

https://doi.org/10.52340/gs.2022.04.05.41https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/1387/1472

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ქართულ ორნამენტში გამოყენებილი ფერების კვლევის საკითხები.

ორნამენტი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი საერო-საეკლესიო სამოსში, ფეხსაცმელში, ხალიჩურ ნაწარმში, იარაღში, სამკაულში, ქვითხუროობაში, ხითხუროობაში, მეთუნეობაში და სხვ. ფერთა უხვი პალიტრითაა გადმოცემული ორნამენტი ფერწერულ იკონოგრაფიაში, ხელნაწერ წიგნებსა და მინიატიურებში.

ორნამენტი, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის მატარებელია.ორნამენტის დაგეგმარებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ყოფაში გამოყენებული ფერთა გამის, ფერთა შეხამების, ჰარმონიულობის, შეპირისპირების ან მათი კონტრასტულობის და გამოყენებული საღებარების (ქიმიური/ ბუნებრივი შესაღები მასალა) მოძიება , შესწავლა და გაანალიზება.

135. ნ.იმნაძე, ასისტენტი გ. ვარდოსანიძე.
“სიმბოლურ-ინფორმაციული „არქიტექტურული კულტურა“ და მისი მნიშვნელობა ტურისტული კლასტერის ჩამოყალიბებაში”
შრომები № 1 (523)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ISSN 1512-0996 DOI:https://doi.org/10.36073/1512-0996; თბილისი 2022 წ.საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“.
რეზიუმე:
წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულება - „ღვინის ტურიზმი“. ეს მიმართულება XXI საუკუნის დასაწყისში, როგორც „ღვინის არქიტექტურა“ ჩამოყალიბდა და განვითარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ნაშრომში გაანალიზებულია ღვინისა და არქიტექტურის ურთიერთობა ცნობილი მეღვინეობების მაგალითზე არქიტექტურულ-მხატვრული კუთხით და გააზრებულია მათი მნიშვნელობა ტურისტული კლასტერის ჩამოყალიბების კონტექსტში. ანალიზით გამოვლინდა, რომ არქიტექტურული ინტერპრეტაციებით ჩამოყალიბდა უნიკალური ტურისტული ადგილები ქალაქიდან მოშორებით, სოფლად ან მათ მიმდებარედ, რომელშიც ინტეგრირებულია რადიკალურად განსხვავებული არქიტექტურული მიმდინარეობები, მრავალფეროვანი კონცეფციები, მათ შორის მრავალსახიანი კონტექსტუალიზმი რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით: სინთეზი, ფსიქო-ემოცია, სცენარი და ასოციაციები. ამრიგად, შეიქმნა თავისებური სიმბოლურ-ინფორმაციული „ღვინის არქიტექტურული კულტურა“ ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციისთვის.
136) ნინო იმნაძე, ელგუჯა კურცხალია, ოთარ მჭედლიშვილი;
„ურბანული სისტემის ოპტიმალური დაგეგმარებისა და მართვისათვის“
შრომები № 4 (526) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ISSN 1512-0996 DOI:https://doi.org/10.36073/1512-0996; თბილისი 2022, წ.საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“
ანოტაცია. ურბანული პროცესების მათემატიკური მოდელირება, სისტემური დაგეგმვა და მიწათმოწყობა მეტად აქტუალური საკითხია. ტრადიციული მეთოდოლოგიით აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ხორციელდება სუბიექტირად შერჩეული მეთოდოლოგიით. ასეთ შემთხვევაში რიგი საკითხები და მონაცემები როგორც წესი, უგულვებელყოფილია და მორგებულია წინასწარგანსაზღვრულ შედეგზე. რასაც მივყავართ ურბანული ქსოვილის სტრუქტურული ერთიანობის რღვევამდე. წარმოდგენილ ნაშრომში, გამოყენებულია ახალი მეთოდი, რომლის საფუძველზე

შემუშავებულია ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ურბანული „შეუსაბამოებები“ - როგორც ურბანული დიზაინის, ისე სოციალურ ეკონომიკური და საერთოდ ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომლებიც ბმაში არიან ქალაქგეგმარებასთან და მართვასთან.

137) ნინო იმნაძე, გივი გოგრიჭიანი;

“ქუთაისის, ისტორიული ქალაქის ხიდები”

სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ № 3(63) თბილისი 2022, ISSN 1512-3936

რეზუმე: წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ქ. ქუთაისის ისტორიულ ნაწილში არსებული ხიდების მშენებლობის პერიოდები და მათი აგების მნიშვნელობა ქალაქის ცენტრის ურბანული განვითარებისთვის. დროთა განმავლობაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ქალაქი განვითარდა მდინარის მარცხენა სანაპიროზეც. რამაც ხიდების მშენებლობის აუცილებლობა შექმნა. ხიდები ძირითადათ აიგო XIX საუკუნეში, რაც კარგად ჩანს გენგეგმაზე - ადრე არსებული ხიდების ადგილმდებარეობები და ახალი ხიდების მოწყობის პერსპექტიული მიმართულებები. ამ პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქალაქის ცენტრის ჩამოყალიბებაზე, რომელიც დღემდე გრძელდება.

XX საუკუნის 60 - ან წლებში, ქალაქის ურბანულმა განვითარებამ მოითხოვა ცენტრის განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან, რის გამოც მიზანშეწონილი გახდა ახალი ხიდის მშენებლობა, რაც ადრე არსებულ გენგეგმაზე უკვე მონიშნული იყო. წარმატებით განხორციელდა წითელი და თეთრ ხიდს შორის არსებულ მონაკვეთში, არქიტექტორ გივი თოდაძის პროექტით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხიდი წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორი ტაქტით, ხუროთმოძღვრული გააზრებითა და გარემოსადმი პატივისცემით შეიძლება, ისტორიული ქალაქის ქსოვილში ჩარევა, ისე რომ არ გამოიწვიოს დისონანსი ისტორიული ხიდების არსებობის არეალში. ამრიგად, ახალმა ხიდმა არმარტო სატრანსპორტო ფუნქცია შეასრულა არამედ შეავსო თანამედროვეობის გამოწვევა და კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა ქალაქის ცენტრის ორი ნაწილის დაკავშირება, როგორც ფუნქციურად ისე მხატვრულ-ესთეტიურად.

138)ნ. იმნაძე

“Architectural Heritage: the Environment and Modern Society”

„HERITAGE WITHOUT FRONTIERS

KNOWLEDGE AND PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON THE OCCASION OF

THE 50TH ANNIVERSARY OF THE UNESCO WORLD HERITAGE CONVENTION AND

THE 35TH ANNIVERSARY OF THE ERASMUS STUDENT MOBILITY ACTIONS“ edited by

Nora Lombardini and Miriam Terzoni; ISBN 979–12–218–0565–9; prima edizione Roma dicembre 2022; გვ. 49-69

რეზუმე:

In article, analize one of the important period of Architecture Georgia – as we cold laetest modernism. Last period of end Soviet Union – 1974 – 1990. this period of history of Georgian architecture requires serious research. What is their place in the 21st century urban environment? Whether they remain in the memory or a new history is being created for them. In a short article we have tried to identify the problems in which the changes of the present era are clearly manifested. It is important that the architectural changes do not have a harmful character, but to promote their appearance. This brief incomplete analysis reveals that this period requires a critical understanding.

139) ნ. იმნაძე

„Restoration-rehabilitation of the historical district of Tbilisi“

„HERITAGE WITHOUT FRONTIERS

KNOWLEDGE AND PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON THE OCCASION OF

THE 50TH ANNIVERSARY OF THE UNESCO WORLD HERITAGE CONVENTION AND

THE 35TH ANNIVERSARY OF THE ERASMUS STUDENT MOBILITY ACTIONS“ edited by

Nora Lombardini and Miriam Terzoni; ISBN 979–12–218–0565–9; Prima edizione Roma, Dicembre 2022; გვ. 129-145

რეზუმე;

The artical showed, that the further development of the historical districts of the city, in each case, should be determined by the specificity of the district, based on historical and architectural features. For this purpose, it is necessary to reveal the cultural-historical, memorial and architectural values of the reconstructing object, their classification, a thorough study of planning and spatial compositional structure of both ndividual monument and the whole area. We need to find both new forms and appropriate methods of space and functional organization, that will complement as well as refine the established architectural environment of the city.

140.გ. ვარდოსანიძე

„ჯანმრთელი არქიტექტურა“ და მისი მნიშვნელობა ტურიზმის ინდუსტრიაში“.

„არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის ტანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი № 17 ISSNN 2233-3266 DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266 2022

რეზიუმე: წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების და სივრცეების დაპროექტების თავისებურებები „ჯამრთელი არქიტექტურის“ კონტექსტში. საკითხი აქტუალურია ტურისტული არქიტექტურული ობიექტების, სარეკრეაციო სივრცეების ფორმირებისას. ცნობილია, რომ მოგზაურობა დადებითად მოქმედებს ადამიანების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და საერთოდ ჯამრთელობაზე. კვლევის ამოცანიდან გამომდინარე გაავანალიზეთ 2013-2018 წლებში რეალიზებული ობიექტები, რომელსაც ბევრი მნახველი და მომხმარებელი ყავს: „საზაფხულო გალერეა“ სერპანტინი ლონდონში -

მექსიკელი არქიტექტორი ფრიდა ესკობედო, „იანგშოუ შუგარ ჰაუს“ სასტუმრო ჩინეთში - ჩინელი არქიტექტორი დონგ გონგი, საცხოვრებელი სახლი ამერიკაში - ამერიკელი არქიტექტორი ბრაიან მასი. ობიექტების შერჩევა შემთხვევით არ მოხდა. ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ ისინი, როგორც „სანახაობა“ ვიზიტორებისთვის, ფუნქციური და ადამიანთან თანამაშტაბური. წარსულის შთაგონებით სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტორები აპროექტებენ ჰუმანურ გარემოს. ქმნიან დღევანდელ არქიტექტურას, თვითოეული ობიექტის სივრცულ - მოცულობითი სტრუქტურა და გეგმარებით ხასიათი შექმნილია ჰარმონიული კავშირისთვის ადამიანსა და გარემოს შორის. რაც „ჯამრთელი არქიტექტურის“ საფუძველია. „ჯამრთელი არქიტექტურა“ აყალიბებს შუალედურ რგოლს ხალხურ კულტურასა და დღევანდელობას შორის.

141) **ლ.ლურსმანაშვილი; ნ.ნათბილაძე, ო.რუხაძე**

.თექის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგია და თანამედროვეობა.

ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ № 1(56)2023, თბილისი, გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“. ISSN 1512-3537

ანოტაცია: სტატიაში განხილულია თექის მოთელვის როგორც ტრადიციული ტექნიკა, ასევე ახალი ტექნოლოგიები, რამაც საგრძნობლად გაამდიდრა და გააფართოვა თექის გამოყენების არეალი. განხილულია თექის მახასიათებლები და შემადგენლობის მიხედვით თექის სხვადასხვა სახეობები. ყურადღებაა გამახვილებული თექის დამზადების სამ - ბრტყელ,- უნაკერო და მოცულობით ტექნოლოგიაზე.

სტატიაში აღწერილია მოქნილი ელემენტების დამხვევი და გამშლელი მოწყობილობა,რომელთა დანიშნულებაა წარმადობის ამაღლებისა და დახვევის ტექნოლოგიის გამარტივება. ნაშრომში გაანალიზებული ტექნოლოგიებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ თექის წარმოების ახალი ტექნოლოგიები განაპირობებს სამეცნიერო მიმართულების შემუშავების საჭიროებას, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე თექის თვისებების შესწავლა

142. **მ.დავითაია, გ.ქართველიშვილი,**

„თბილისში დანგრეული კალოუბნისა და ამაღლების ტაძრების კულტურულ-ისტორიული და არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი“, სტუ-ის შრომები - Works og GTU – Труды ГТУ, N (527), 2023 წ. (გამოცემის პროცესშია)

ანოტაცია: თბილისში, სხვადასხვაკონფესიისწარმომადგენლები რელიგიურ ნიადაგზე არასდროს ებრძოდნენ ერთმანეთს თუ არ ჩავთვლით ბოლშევიკებს და მათ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირებს“, რომლებმაც 1920-იანი წლების ბოლოდან ბრძოლა გამოუცხადეს ყველა რელიგიის წარმომადგენელს და მიწასთან გაასწორეს მრავალი ტაძარი. სტატიაში სუბარია, საბჭოთა პერიოდში, თბილისში დანგრეული მრავალი რელიგიური ნაგებობებიდან, ორ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე - კალოუბნის წმინდა გიორგის ტაძარი, რომელიც აიგო რუსეთის ანექსიის პერიოდში XIX საუკუნის 50-იან წლებში

ძველი ქართული ტაძრის ნანგრევებზე და 1852 წელს, პლატონ იოსელიანის მიერ აგებული სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, რომელიც ძველი ბერძნული ნაგებობის მიხედვით აშენდა და განახლდა XIX საუკუნის ბოლოს. სტატიაში წარმოდგენილია საბჭოთა ხელისულების მიერ 1930-იანი წლებიდან დანგრეული ეკლესიების კულტურულ-ისტორიული და არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი, აშენებისა და ნგრევის მიზეზები.